# ახალი განათლება

01-07.03.2018

№7 (801) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge


# 25 თებერვალი და თანმიმდევრულობის ვერდასწავლილი სხვა გაკვეთილები

*„ზოგმა [დამპყრობელმა] ქუდი დაგვიტოვა თავისი, ზოგმა ტანსაცმელი, ზოგმა ცბიერება, ზოგმა თვალთმაქცობა, ზოგმა უზნეობა, ზოგმა ენა შეგვირყვნა და ზოგმა რჯული, მაგრამ იმდენი ზარალი, ზნეობრივ-გონებრივი ზარალი, არავის არ მოუყენებია, როგორიც მოგვაყენა რუსეთმა. სხვა მტერი რომ შემოვიდოდა ხოლმე საქართველოში, მიანგრ-მოანგრევდა, აანიოხებდა მას და კვლავ გარბოდა. საქართველო რჩებოდა ისევ თვითარსად, თვითმმართველად, თავის თავის გამგებლად და ავად თუ კარგად თვითვე უვლიდა თავის შინაურსა და გარეშე საქმეებს. რუსები კი, მოვიდნენ თუ არა საქართველოში, მაშინვე სწვდნენ ქართველ ერს სულის სიღრმეში და მოინდომეს მისი გადაგვარება, მისი თავისებურობის მოსპობა. მათ თანდათანობით მოსპეს ჩვენი ეროვნული სკოლა, სამართალი, შემოიტანეს თავისი კანონები, სატუსაღოები, სკოლები, ყაზარმები და მონღოლურ-სლავური ვერაგობით იქამდე გაგვიხადეს საქმე, რომ დღესაც კი – რუსეთის დანგრევის შემდეგაც კი არამც თუ ძველი თაობა, არამედ ახალი თაობაც კი ჯერაც გონს ვერ მოსულა და ისევ რუსულად აზროვნებს, მღერის, ჟღურტულებს. მარტო ბრმა და ყრუ ან ჯიუტი და მოღალატე ქართველი – მახარაძე-ორჯონიკიძის ტიპისა, თუ ვერ დაინახავს იმ უფსკრულს, რომელსაც უმზადებს ქართველ ერს დღევანდელი რუსეთი.“ – 1921 წლის 25 თებერვალი, „საქართველოს რესპუბლიკა“*

გვერდი 5

**პროფესიული განვითარება**

## პრაქტიკოსი მასწავლებლის კარიერული წინსვლის გზა



*გვესაუბრება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის უწყვეტი პროფესიული განათლებისა და კარიერული წინსვლის პროგრამის ხელმძღვანელი ირინა სამსონია*

## Təcrübəçi müəllimin karyera irəliləyişi yolu

## Գործող ուսուցչի կարիերային առաջընթացի ուղին

გვერდი 6

**თსუ — 100**

## ივანე ჯავახიშვილი



გვერდი 2

**პროფესიული განვითარება**

## მოწვეული და მაძიებელი მასწავლებელი – ახალი სტატუსი სისტემაში

გვესაუბრება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე მანანა რატიანი

გვერდი 3


## ხელმომწერთა საყურადღებოდ

ბოლო წლების საერთაშორისო ბესტსელერი, ყველაზე პოპულარული საბავშვო შემეცნებითი წიგნი "რუკები" 2012 წელს შეიქმნა პოლონეთში და მოიცავს ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული, ზოოლოგიური, ბოტანიკური, ზოგადკულტურული ხასიათის ინფორმაციას მსოფლიოს მრავალი ქვეყნის შესახებ.

"რუკები" უნიკალურია, კარგად გააზრებული იდეისა და დახვეწილი შესრულების თვალსაზრისით. ამ წიგნს იყენებენ როგორც სასწავლო-პედაგოგიურ გარემოში, ისე ოჯახში სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა მიერ ერთობლივი კითხვისთვის. "რუკების" მასალის გამოყენებით შესაძლებელია სხვადასხვა თამაშებისა და საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვა.

55 დიდი რუკა 46 ქვეყანასა და 6 კონტინენტს მოიცავს. ყოველ რუკაზე უამრავ საინტერესო ილუსტრაციას და მნიშვნელოვან ფაქტს აღმოაჩენთ და აუცილებლად მოგინდებათ კიდევ უფრო მეტის გაგება.




წიგნის თარო

# ივანე ჯავახიშვილი

1907 წელს საქართველოს დედაქალაქში ქართველი სწავლული მოხსენებას კითხულობს. თეატრში ტევა აღარაა. მსმენელთა შორის იმყოფება დიდი ქართველი: ჭავჭავაძე ილია, რომლის თანდასწრება მთელ კრებას საზეიმო იერსა ჰფენს. მომხსენებელი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, ხოლო გონებით უკვე მოწიფული. სწორი, კეთილმოყვანილი სახე. მყუდრო ძლიერების მეტყველი. მოდიდო შუბლი, გონიერების ნათელ სათავსად ნაკვეთი. გამოხედვა ღრმა: თითქო ჰინდური, რომელიც პირველივე ღიმილით ქართულ ხალას ხიბლად იფრქვევა. დინჯი, აუჩქარებელი – რადგან პასუხსაგებ საქმით დატვირთული, მორიდებული უფრო, ვიდრე უკარებელი; შინაგანად შეკვრივული და არა გულჩათხრობილი; უდრეკი, ურყევი – რადგან მტკიცე და მყარი. მაგარი, როგორც კორძი, და ულრუო, ვითარ ძელქვის ნამორი. თითქმის „ჯიუტი“: არ დამთმობი ერთხელ აღებული გეზისა. ლაპარაკობს ნელა, პაუზებით: ეტყობა – სწონის და ზომავს ნათქვამს. სიტყვა თითქო არ ემორჩილება – ალბათ ცდილობს, არც მეტი თქვას და არც ნაკლები. არც ერთხელ ხმის ამაღლება: ნააზრის ცხადება ისე გულისხმიერია მისი. დამსწრენი გულდასმით ისმენენ ყოველ სიტყვას მომხსენებლისას – და გრძნობენ თანდათან, რომ მათში რაღაც იზრდება ნელ-ნელ, ანუ უკეთ – რაღაც იმართება – მზე ტკბილი და ძალის მომგვრელი. საქართველოს ხერხემალი? სწორედ ეს და მხოლოდ ეს. თავდება მოხსენება. მსმენელნი აღფრთოვანებით აცილებენ ახლად მოვლენილ სწავლულს, ხოლო თვალი მაინც ილიას მიმართ უჭირავთ: უნდათ გაიგონ, თუ რას იტყვის დაუღალავი მობრძავი საქართველოს კულტურისა. ნელი, მოკლე, შინაგან აღვივებული სიტყვით ამცნევს დიდი ქართველი ირგვლივ თავმოყრილთ თავის გახარებას. ილიას სიტყვა ედება მთელ კრებას – რიგიდან რიგებს – ვითარ მადლით განფენილი დასტური. სიხარული მატულობს. ბოლოს ეს „განაჩენი“ მომხსენებელსაც სწვდება. მის მშვიდ სახეს ნათელი ეფინება – თითქო ჰსურს გამხნევებულს გასძახოს ხევსურულად: „ჯანი მამიმატის!“ ახალგაზრდა სწავლული ივანე ჯავახიშვილია.

* * *

გადის რამოდენიმე თვე. საქართველოს თავს ატყდება დიდი უბედურება: წიწამურის ველი ირწყვება დიდი ქართველის სისხლით. მკვლელი ქართველთა ნაშიერია, რაიც კიდევ უფრო ამძაფრებს ტკივილს. დიდი გლოვა და ვაება. ხოლო საოცარი და საცნაური: ერის მიერ ღრმად განცდილ ტანჯვაში მკვლელობა თანდათან „მსხვერპლის“ სახეს იღებს – მსხვერპლის, რომლის საიდუმლოება სინამდვილის გარდამქმნელი ძალაა. და აი: წიწამურის ველიდან ვლინდება დღითი დღე, კიდიდან კიდემდე, მთელს საქართველოს არეში და ეს უხილავი, ხოლო ცხადზე უცხადესი ძალა – ვლინდება უშუალო ქმედებით ეს ქვეშეცნეული. ყოველ ქართველში – რომელშიც ღვივის კიდევ, ოდნავ მაინც, ცეცხლი კარდჰუს თესლისა – ყოველ ქართველში ილვიძებს საქართველო – ილვიძებს არა წილობით, არამედ მთლად: ილვიძებს მთელი საქართველო, მთელი მისი ბედით. არც ერთი მექმე ქართველი არ რჩება ეხლა განზე განაპირებული. ყოველი მათგანის გზა მიდის ამიერიდან ამ მსხვერპლის ნიშნით, ხოლო ერთი კაცი, რომელიც მთელი არსით საქართველოს საუკუნოებში გაწვდილ წიაღშია გადასული, ალბათ ყველაზე უფრო ღრმად განიცდის ამ შინაგან გარდაქმნას. ეს კაცი უთუოდ ივანე ჯავახიშვილია. სიხარული, ილიას გახარებით შობილი, ეხლა მისთვის „კურთხევად“ იქცევა. ხოლო კურთხევა მოწოდებაა და დანიშნულება. ილია ილვწოდა საქართველოს მზეოსან ხელმწიფების აღდგენისათვის: სიტყვით, საქმით, ცხოვრებით. კურთხევა-მიღებული სწავლული ხედავს ეხლა ნათლივ: მან უნდა განაგრძოს ეს გზა – მეტად მძიმეა, გარნა მეტადვე საშური. მაგრამ როგორ? ჯავახიშვილი მემატიანეა, მეისტორიე. გამოიკვლევს საქართველოს თავგადასავალს – იგი ამით დაეხმარება მის ხელმწიფების აღდგენას. ეს არის ეხლა მისი ულრმესი რწმენა, რწმენა უტყუარი და მართებული. გსურს გაიგო „ვინა ხარ“, უნდა შეიგნო „ვინ იყავ“; გინდა იქცე „რამედ“, უნდა შეიტყო „რა განვლე“, „საითკენ?“ – მიზანმხვედრია მაშინ, თუ ესეც იცი: „საიდან?“ ისტორია არის არა მარტო ხსოვა წარსულისა – იგი თანვე ქმედითი მონაწილეა მომავლისა. ამ რწმენით იწყებს ჯავახიშვილი თავის მოწოდების ასრულებას, უამრავი სიძნელე იმართება მის წინ: ევროპაში ისტორიული კვლევა გაადვილებულია: სწავლულს აქ ყოველი დარგი გაკაფული ხვდება წინ: ყოველი მასალა დალაგებული. ჯავახიშვილი კი თითქმის ყველაფერს პირველად უნდა შეეხოს. იგი მაინც იმედნეული იკაფავს გზას. იშველიებს რა ყოველგვარ საჭურველს სიძნელეთა დასაძლევად. იგი სწავლობს ევროპასა და რუსეთში: ენებს, როგორც დასავლეთისა, ისე აღმოსავლეთისა, პალეონტოლოგიას, არქეოლოგიას, ეთნოლოგიას, ხუროთმოძღვრებას – და კიდევ რას? დრო და დრო მოკლე ნარკვევებს აქვეყნებს – ხოლო ყოველი ეს ჯერ კიდევ მზადებაა მხოლოდ და მხოლოდ და მასალასთან მიახლოვება.

* * *

იწყება მსოფლიო ომი, ქართველ ერში ოცნება ილვიძებს: ვინ იცის ხალხთა შეხლა-შემოხლა ისე დატრიალდეს, რომ საქართველოს განთავისუფლება ერგუნოს. რევოლუცია არღვევს რუსეთის იმპერიას და ქართველ მამულიშვილთა ოცნებას განამდვილების პირი უჩანს. ღრმავდება შეგნება ქართველისა – როგორც ქართველის. თავდადებულთა ერთი მცირე ჯგუფი ცდილობს დაარსდეს ქართული უნივერსიტეტი, რათა **ამ შეგნებას ქვაკუთხედი აუგოს**. აქ თაოსანი და სულის ჩამდგმელი ივანე ჯავახიშვილია. სიძნელე სიძნელეს მოსდევს, ხოლო ენერგია თავგამოდებულთა კიდევ უფრო მატულობს. და აი, როცა 1918 წელს მაისის 26-ს საქართველო თავის თავს განთავისუფლებულად აცხადებს, მის ხელმწიფობას უკვე ამართული აქვს შინაგანი სიმაგრე: უნივერსიტეტი, ქართული კულტურის ჩაუქრობი კერა.

*„სამეცნიერო მუშაობა ბედნიერებაა, რომელიც ყველას ხვედრს არ წარმოადგენს და, ვინც ისეთი ბედნიერია, რომ ბუნებისგან დაჯილდოებულია ნიჭით, რომ მას აქვს ნებისყოფა, აქვს აგრეთვე გატაცება, ის უნდა გრძნობდეს, რომ ვალდებულია სამაგიერო გადაუხადოს იმ ერს, რომლისგანაც ის წარმოშობილია... ახალგაზრდობას უნდა ესმოდეს, რომ მხოლოდ საფუძვლიანი ცოდნა მისცემს შესაძლებლობას, ღირსეული ადგილი დაიჭიროს საზოგადოებაში. მას უნდა ახსოვდეს, რომ სიყვარულის გარეშე არ გაკეთდება არასოდეს დიდი საქმე; გულცივი, გულგრილი ადამიანი ვერ გააკეთებს ვერასოდეს დიდ საქმეს.“*



იწყება დაუღალავი, ნაყოფიერი შრომა. ქართული უნივერსიტეტი იქცევა ლაბორატორიად ქართული შეგნებისა. შუა გულში აქაც ივანე ჯავახიშვილია: თავგანწირვით – რომელიც უმაგალითო თუ არა, სამაგალითოა – აგრძელებს იგი ერთხელ დაწყებულ საქმეს: აგროვებს საქართველოს ყოფიდან ყოველგვარ მასალას – ძველ ხელნაწერს, ნახატს, ნახაზს, გადმოცემას, სიგელს – და კიდევ რას? აგროვებს მასალას, არჩევს და იკვლევს და ალაგებს მას. ხოლო მასალა უფრო და უფრო ხვავდება. ჯავახიშვილი ეხლა იკრებს მთელს ჯგუფს ახალგაზრდა მკვლევართა: თანამშრომელთა და დამხმარეთა. ჩაღდება უმაგალითო მუშაობა. „ქართველი ერის ისტორია“ – მთავარი შრომა ჯავახიშვილისა – იზრდება თანდათან: თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე. ეს არაა ჩვეულებრივი „ისტორია“, იგი უფრო ენციკლოპედიაა. ყველაფერია აქ განხილული: ქართველთა წარმოშობა, ნათესავ ტომთა ერთ ერად ქცევა და ჩამოსხმა, ქართული ენა, ნივთიერი და სულიერი კულტურა საქართველოსი, ხელმწიფების დგენა და განმტკიცება, მისი ბედი თუ უბედობა, მარჯი და მარცხი – და მერე როგორ? აიღეთ ნიმუშად განხილვა ქართული სიტყვისა „მზე“, რომელსაც ამ შრომაში თითქმის მთელი სამი გვერდი უჭირავს. ეს განხილვა სწორუპოვარი ცდაა ენის შინაგანი დენის, მისი მითიურ-მსახიერებული ცნებისა. და ასე ყველგან, ყოველ დარგში. დროდადრო იგი ამ ნაშრომს სხვადასხვა ნარკვევებით ავსებს და ამაგრებს. იგი იკვლევს: ქართულ სამართალს, ქართულ ეკლესიას, ქართულ ხუროთმოძღვრებას, ქართულ მხატვრობას, ქართულ მუსიკას, გეოგრაფიას, დამწერლობას, არქეოლოგიურ ნაშთებს – და კიდევ რას? ქართულ მევენახეობასაც კი! და მერე – რა სიყვარულით და გულმოდგინებით! არ დარჩენილა არც ერთი ლერწი, რომელიც მას „რაობის“ მიხედვით არ განეხილოს. არ დარჩენილა არც ერთი მტევანი, რომელიც მას „თვისების“ მხრით არ განეხილოს. მტევნის მარცვალიც რაა – მისი მნიშვნელობაც კი აქვს გაშუქებული. და ასე ყველგან, ყოველ დარგში.

* * *

დიდია ნაშრომი ივანე ჯავახიშვილისა და ფასდაუდებელი მისი დანატოვარი. მის ისტორიულ ნაკვლევში – აქ მეხმარება გენია ქართული სიტყვისა – მონივთულია „ცხოვრებაჲ ქართლისაჲ“. დიახ – „მონივთული“. ეს ქართული სიტყვა, სხვა ენაზე უთარგმნელი, სწორუპოვრად მარტავს ნაშრომს ჩვენი ისტორიკოსისა. მომავალი მეისტორიე, რომელიც დაისახავს მიზნად: აღმოაჩინოს ქართველთა ვითარებაში მსოფლიო ქცევის ერთ-ერთი გულისხმიერი სახეობა – ჯავახიშვილის მიერ „მონივთულ“ თავგადასავალში საქართველოჲსა იპოვის ყველაფერს დასახულის მისაღწევად. მაშინ დაფასდება იგი საბოლოოდ როგორც მკვლევარი-წინამორბედი. ხოლო ჩვენთვის დღესაც ნათელია ერთი რამ: ივანე ჯავახიშვილმა პირნათლად გაამართლა კურთხევა, დიდი ილიასაგან იდუმალი გზით მიღებული და ამით უკვდავჰყო თავისი პიროვნება ქართველი ერის დაუშრეტელ წიაღში.

**გრიგოლ რობაქიძე**

*ჟურნალი „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“. 1986წ.*

**გამოფენა**

# საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის 100 წლის იუბილეს მიეძღვნა

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი გამოფენა „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა – შეფასებები ოკუპირებულ რეალობაში“ მიმდინარეობს. წარმოდგენილია 1918-21 წლების რესპუბლიკის, დამოუკიდებლობის დაბრუნების მოვლენის შეფასებები იმ პირთა მიერ, რომელთა მოღვაწეობაც უკავშირდება საქართველოს ისტორიის ამ პერიოდს, თუმცა ისინი არ წასულან ემიგრაციაში, მათ გააგრძელეს ცხოვრება და მოღვაწობა რუსული ოკუპაციის პირობებში.

ექსპოზიციაშია: კათოლიკოს-პატრიარქების – კირიონ II-ის, ამბროსი ხელაიას ქადაგებები; ექვთიმე თაყაიშვილის, დუტუ მეგრელის, ვასილ კარბელაშვილის, ანასტასია ხოშტარიას პირადი არქივები; მაგალითად, ვასილ კარბელაშვილის წერილი გაგზავნილი სტალინისადმი, სადაც ის დაუფარავად საყვედურობს მას ქართული ტერიტორიების, ქართველი ხალხის ხელყოფის, უძველესი ძეგლების დანგრევისა და განადგურების შესახებ; ასევე პოეზია, რომელიც ასახავს, თუ როგორ აფასებენ გასაბჭოებულ საქართველოში გაბედული ადამიანები 26 მაისს ან 25 თებერვალს; რადიო „თავისუფლების“ ჩანაწერები 26 მაისის შესახებ; მემორიალური ნივთები.

ღონისძიების ფარგლებში, გაიმართება ლექცია თემაზე – „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსეთის მიერ ოკუპირების პრობლემა ევროპულ პოლიტიკაში 1920-იან წლებში და საბჭოთა რეჟიმის დისკურსი ოკუპაციის პრობლემის განეიტრალებისთვის“, რომელსაც წაიკითხავს საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის მკვლევარი ირაკლი ხვადაგიანი.

გამოფენის მიზანია საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის 100 წლის იუბილისა და ოკუპაციის კვირეულის აღნიშვნა და კიდევ ერთხელ შეფასება; იმ ადამიანების წარმოჩენა, რომლებსაც საზოგადოება ნაკლებად იცნობს და არაფერი იცის მათი შეურიგებელი დამოკიდებულებისა და ბრძოლის შესახებ რუსული ოკუპაციის წინაალმდეგ.

გამოფენა 2 მარტის ჩათვლით გაგრძელდება.



პროფესიული განვითარება

# მოწვეული და მაძიებელი მასწავლებელი – ახალი სტატუსი სისტემაში



*მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის მიხედვით, განსაზღვრულია მასწავლებელთა ოთხი სტატუსი, რომელსაც ახალი ინიციატივით, კიდევ ორი სტატუსი – მოწვეული და მაძიებელი მასწავლებელი – დაემატება. ცვლილებათა პაკეტზე მუშაობა უკვე მიმდინარეობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და პარლამენტთან. ინიციატივით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი გამოდის და საკანონმდებლო დონეზე ცვლილებების ასახვას მიმდინარე წლის გაზაფხულზე ვარაუდობენ, მას შემდეგ, რაც პარლამენტი „ზოგადი განათლების კანონში“ ცვლილებას მხარს დაუჭერს. მასწავლებლის სტატუსის რეგულაციების გადახედვასა და ამ მხრივ ცვლილებების შეტანის აუცილებლობაზე საუბრობს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე **მარიამ ჯაში** და ამბობს, რომ ეს ის საკითხია, რომელსაც მარტივი გადაჭრის გზა არ აქვს, რადგან რამდენიმე დილემის წინაშე ვდგავართ. მისივე აზრით, პირველი დილემა „დამატებითი საათებისა და სივრცის არსებობაა ახალგაზრდა კადრებისთვის, თუმცა ეს ყველა სკოლას არ ეხება, ვინაიდან კონტრასტული მდგომარეობაა ქალაქისა და სოფლის სკოლებს შორის, სადაც გვაკლია კვალიფიციური კადრები, მიუხედავად ასაკისა და განათლების წლებისა. ხშირად მიკავშირდებიან კვალიფიციური ფიზიკოსები, ქიმიკოსები, რომლებსაც სურთ პედაგოგიური საქმიანობა, მაგრამ 60-კრედიტიანი პროგრამის აუცილებლობა ხელს უშლის მათ სკოლაში შესვლას.“*

*რატომ გახდა აუცილებელი მაძიებელი და მოწვეული მასწავლებლის სტატუსის გაჩენა და რა ფუნქციები დაეკისრება მათ, ამის შესახებ საუბრობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე **მანანა რატიანი**.*

– საჭიროება არის შემდეგი – მასწავლებლის მომზადებისათვის განკუთვნილი ხუთწლიანი პროგრამების, რომლებიც სექტემბრიდან ამუშავდება, კურსდამთავრებულები ხუთი წლის შემდეგ გვეყოლება. უფრო მოკლევადიანი, 60-კრედიტიანი პროგრამაც, რომელიც, ასევე, ამზადებს მომავალ მასწავლებელს, რომელსაც დადასტურებული აქვს საგნობრივი კომპეტენცია, პროფესიაში შესვლის ერთ-ერთი გზაა, თუმცა, ამ შემთხვევაშიც, მასწავლებლობის მსურველმა ერთი წელი უნდა ისწავლოს უნივერსიტეტში, რომ სკოლაში შევიდეს. რეალურად კი, დღეს უკვე გვაქვს დეფიციტი რიგ სკოლებში, განსაკუთრებით, იმ მცირეკონტინგენტიან სკოლებში, რომელთაც ახლავე სჭირდებათ მასწავლებელი. პარალელურად კი, 60-კრედიტიან პროგრამაზე სწავლა, თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ მოშორებითაა უნივერსიტეტი დასახლებული პუნქტიდან, სადაც ვაკანსიაა გამოცხადებული, ძალიან მოუხერხებელია. ამავდროულად, სახელმწიფოს საკმაოდ ძვირი უჯდება პროგრამა „ასწავლე საქართველოსათვის“, რომელიც მასწავლებლებს დანამატს სთავაზობს, სკოლებში არსებული კადრების დეფიციტის შესავსებად ადგილებზე რომ ჩავიდნენ სამუშაოდ. ამასთანვე, ეს არ არის მდგრადი კადრი, რადგან ასწავლიან მანამ, ვიდრე დანამატი აქვთ, მაგრამ როცა დანამატი შეწყდება, დიდი ალბათობით, ისინი დატოვებენ სკოლას. აქედან გამომდინარე, ჩვენ გვინდა, რომ გავხსნათ გზა მაძიებლებისათვის. თუმცა მაძიებლობის გაგება საქართველოში, ისტორიულად, ცოტა სხვაგვარი იყო. ჩვენ გვყავდნენ მაძიებლები, რომლებიც სკოლაში შედიოდნენ და გარკვეული აქტივობების გავლის შედეგად მოიპოვებდნენ მასწავლებლობის უფლებას. დღევანდელი მაძიებელი, მათგან განსხვავებით, შეძლებს დაიწყოს მუშაობა და, პარალელურად, გაიუმჯობესოს პედაგოგიური კომპეტენციები.

**– ვინ შეიძლება იყოს მაძიებელი?**

– მაძიებელი შეიძლება იყოს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი კადრი, მინიმუმ, ბაკალავრის დიპლომით. მაგალითად, თუ გეოგრაფიის ან ისტორიის ფაკულტეტი დავამთავრე, შემიძლია, შევიდე სკოლაში და ამ მიმართულებით დავიწყო მუშაობა, რადგან ვიცი რა ვასწავლო მოსწავლეს, სპეციალურად მაძიებლისთვის შემოთავაზებული პროგრამის საშუალებით კი ვისწავლი როგორ ვასწავლო. აქედან გამომდინარე, თვისებრივი პრობლემა არ შეიქმნება, რადგან სკოლაში შევლენ საგნის პროფესიონალები, რომელთაც პარალელურად ვასწავლით პედაგოგიკას – როგორ გადასცენ ინფორმაცია მოსწავლეებს. ეს პროგრამა აკადემიურ უნივერსიტეტებთან ერთობლივად განხორციელდება – უნივერსიტეტებში, რომლებსაც მომზადებული აქვთ 60-კრედიტიანი პროგრამები, მაძიებელ მასწავლებლებს საშუალება ექნებათ, პროგრამის ნაწილი ონლაინ/დისტანციურად გაიარონ. ეს იმას ნიშნავს, რომ მაძიებელი მასწავლებლები აკადემიურ კურსებს უნივერსიტეტის პროგრამიდან გაივლიან, ხოლო პრაქტიკულ კომპონენტებში ჩვენ დავეხმარებით. ვფიქრობთ, ამით სკოლებში არსებულ დეფიციტზე სწორ რეაგირებას შევძლებთ. ახალგაზრდებს, რომლებიც მზად არიან სკოლებში შესასვლელად, არ დავაკარგვინებთ დროს იმისათვის, რომ დამატებით ერთი წელი ისწავლონ. თუმცა, ეს არანაირად არ ამცირებს მოთხოვნას 60-კრედიტიან პროგრამაზე. ამ პროგრამაზე სწავლის შესაძლებლობა აქვს პირს, რომელსაც საგნობრივი კომპეტენცია გამოცდითა აქვს დადასტურებული. მაგალითად, პირი არის ინჟინერი, მოუნდა ასწავლოს ფიზიკა, ამისთვის მან დაადასტურა კომპეტენცია ფიზიკის საგანში, შემდეგ გაიარა 60-კრედიტიანი პროგრამა და მზადაა სკოლაში სამუშაოდ. რაც შეეხება მაძიებლებს, ისინი კონკრეტული დარგის სპეციალისტები არიან და ცალკე საგნის კომპეტენციის დადასტურება აღარ მოუწევთ.

მაძიებლის პროგრამა მასწავლებლებისთვის უფასო იქნება.

**– ვის ხელფასთან იქნება გათანაბრებული მაძიებლის ხელფასი?**

– კანონში გაჩნდება ჩანაწერი, რომ მაძიებლის ხელფასი პრაქტიკოსი მასწავლებლის ხელფასის ტოლი იქნება და შესაძლებელია, სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე, მას სრული საათობრივი დატვირთვა მიეცეს. მაძიებლები იქნებიან ახალგაზრდები, რომლებიც, ცვლილების შემდეგ, შეძლებენ სკოლაში ბაკალავრის დიპლომით შესვლას. ხაზგასმით მინდა გითხრათ, რომ ამით სისტემა არ დაზიანდება, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნე, მათ იციან საგანი, რომელიც უნდა ასწავლონ, ჩვენ კი დავეხმარებით, გახდნენ კარგი მასწავლებლები. მაძიებლობის დასრულების შემდეგ, ისინი უფროსი მასწავლებლის სტატუსს მოიპოვებენ. აქედან გამომდინარე, მაძიებლობის პერიოდის დასრულების შემდეგ, მათ შეუძლიათ სქემაში უფროსი მასწავლებლის სტატუსით ჩაერთონ.

**– რამდენ ხანს გასტანს მაძიებლობის პერიოდი?**

– მაძიებლობის პერიოდი განსხვავებული იქნება იმის მიხედვით, თუ რა ტიპის კვალიფიკაცია აქვს პროფესიაში შემსვლელს, ეს პერიოდი შეიძლება გაგრძელდეს ერთ ან ორ წლამდე.

**– ექნება თუ არა რაიმე პრივილეგია მას, ვინც მაგალითად, უნივერსიტეტში, მაინორ პროგრამად, პედაგოგიკას გაივლის?**

– თავისთავად, მისთვის განსხვავებული იქნება მაძიებლობის პერიოდი, ვვარაუდობთ, რომ ასეთი კადრები უფრო მოკლე ვადაში დაასრულებენ პროგრამას. ვფიქრობთ, მაძიებლის პროგრამა კიდევ ერთი სწორი გზაა პროფესიაში შესასვლელად, რადგან არც ხარისხზე ვამბობთ უარს და, რაც მთავარია, ახალგაზრდებსაც მეტად მოვიზიდავთ.

**– ახლა რაც შეეხება მოწვეულ მასწავლებლებს – ვინ იქნებიან მოწვეული მასწავლებლები და რატომ გაჩნდა ეს იდეა?**

– ეს იდეა იმიტომ გაჩნდა, რომ ჩვენ ბევრი მაღალკვალიფიციური, თავიანთ პროფესიაში წარმატებული ადამიანი გვყავს, რომლებიც დაკავებული არიან სხვადასხვა სამსახურებში, მაგრამ სურვილი აქვთ, გარკვეული საათები სკოლაშიც ასწავლონ. რა თქმა უნდა, სკოლის ინტერესშიც შედის, მაღალკვალიფიციური კადრი, გარკვეული დატვირთვით, თუნდაც რამდენიმე საათით მოიყვანოს სკოლაში. თუმცა, ხშირად არის ხოლმე წუხილი იმის თაობაზეც, რომ ის, რაც დღევანდელ მასწავლებელს მოეთხოვება, ძალიან დიდი დატვირთვაა იმ ადამიანებისათვის, რომლებიც სრული განაკვეთით სხვაგან მუშაობენ და გაუჭირდებათ სკოლაში მუშაობის შეთავსება. სწორედ ამიტომ გადაწყდა, რომ მოწვეულ მასწავლებლებს მიეცემათ საშუალება, ასწავლონ სკოლაშიც (რა თქმა უნდა, საუბარია არასრულ დატვირთვაზე) და განთავისუფლდნენ სხვა პირობებისგან – მათ არ დასჭირდებათ სქემაში ჩართვა და იმ აქტივობების შესრულება, რასაც სქემა დანარჩენ მასწავლებლებს სთხოვს. ისინი მოწვეული მასწავლებლის სტატუსით იმუშავებენ სკოლებში. ეს საჭიროება შეიძლება გაჩნდეს არჩევითი საგნების შემთხვევაში, მაგალითად, თუ სკოლას არ ჰყავს არჩეული საგნის შესაბამისი კადრი და მისი გარედან მოზიდვა სჭირდება. მოწვეული მასწავლებელი შესაძლებელია მუშაობდეს სამეცნიერო დაწესებულებაში, უნივერსიტეტში და ა.შ, თუმცა, სიამოვნებით გაატარებს დროის მცირე ნაწილს მოსწავლეებთან ერთად. სწორედ ამ კატეგორიების სკოლაში მოზიდვას შეუწყობს ხელს მოწვეული მასწავლებელი.

**– მოწვეული მასწავლებლების შემთხვევაში, გაკეთდება თუ არა აქცენტი მათ პედაგოგიურ გამოცდილებაზე?**

– მოწვეულ მასწავლებელს მაღალი კვალიფიკაცია უნდა ჰქონდეს იმ მიმართულებით, რომლითაც სკოლა მოიწვევს. მაგალითად, თუკი გეოგრაფიის დოქტორი გადაწყვეტს შევიდეს სკოლაში, მას არანაირი შეზღუდვა არ უნდა ჰქონდეს, რომ ასწავლოს გეოგრაფია, თუნდაც ერთ კლასს. მიმაჩნია, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილება იქნება. მოწვეული მასწავლებლის სკოლაში შეყვანა ორმხრივი მოლაპარაკების – სკოლასა და მოწვეულ მასწავლებელს შორის – საფუძველზე მოხდება და სახელმწიფო ამ მოლაპარაკებაში ნაკლებად ჩაერევა. სახელმწიფო აჩენს ამ შესაძლებლობას, სკოლა კი, საკუთარი საჭიროებებიდან გამომდინარე, გადაწყვეტს მოიწვიოს თუ არა სკოლაში ესა თუ ის სპეციალისტი.

**– ვინ ანაზღაურებს მოწვეული მასწავლებლის ხელფასს და რა ოდენობით?**

– სკოლას საკუთარი ბიუჯეტი აქვს და, შესაბამისად, თავად გადაწყვეტს ანაზღაურების საკითხს მოწვეულ კადრთან მოლაპარაკებით.

**– როდის შევა ძალაში მაძიებლის და მოწვეული მასწავლებლის სტატუსი?**

– თუკი საგაზაფხულო სესიაზე ამ ცვლილებას მიიღებენ, მოწვეული მასწავლებლის სტატუსის ამოქმედება გაცილებით ადვილად შეიძლება. რაც შეეხება მაძიებელ მასწავლებელს, ვვარაუდობთ, რომ პროგრამა მომავალი სასწავლო წლიდან დაიწყება. პროგრამის კონცეფცია ახლა მუშავდება, რა თქმა უნდა, სამინისტროსთან ერთად, ვაზუსტებთ დეტალებს. ამის შემდგომ მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ უმაღლეს სასწავლებლებთან, რომლებიც ჩაერთვებიან ამ პროგრამის განხორციელებაში. შესაძლებელია ეს იყოს რეგიონული უნივერსიტეტები ან თბილისის რომელიმე უმაღლესი სასწავლებელი. ეს უფრო შემდგომი მოლაპარაკების საკითხია. ჯერ მთავარია, კანონში შევიდეს ცვლილება.

**– დაბოლოს, რას ნიშნავს მაძიებლის კატეგორიის შემოღება, არის თუ არა ეს ახალგაზრდებისთვის მეტი შესაძლებლობა, გახდნენ მასწავლებლები?**

– არ შეიძლება ახალგაზრდა, რომელსაც სკოლაში მუშაობის სურვილი აქვს, შევზღუდოთ და დამატებითი ბარიერები გავუჩინოთ, მით უმეტეს, როცა მას შესაბამისი კვალიფიკაცია უკვე აქვს. სისტემისთვის ეს, რა თქმა უნდა, დამაზიანებელია. ცუდია, რომ სისტემაში ჩანაცვლება არ ხდება, რაც პროფესიის ნელ-ნელა დაბერებას იწვევს. გარკვეულწილად, ესეც პრობლემაა. მასწავლებლის პროფესია არც ევროპის ქვეყნებშია ახალგაზრდა პროფესია, მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში მასწავლებლის საშუალო ასაკი 42 წელია, ჩვენთან – 49. განსხვავება საკმაოდ დიდია. ამიტომ ვფიქრობთ, სისტემამ უნდა წაახალისოს ახალგაზრდების შემოსვლა პროფესიაში. ჩვენ ვეცდებით, ისინი თანამედროვე მასწავლებლისთვის აუცილებელი კომპეტენციებით აღვჭურვოთ, რომელიც თანამედროვე მასწავლებლებისათვის აუცილებელია. არც ისაა დასამალი, რომ მოსწავლეები უფრო მოტივირებული არიან და მეტი ინტერესით სწავლობენ, როცა ახალგაზრდა მასწავლებელი ასწავლით და მათ შორის მცირე ასაკობრივი სხვაობაა.

*არ შეიძლება ახალგაზრდა, რომელსაც სკოლაში მუშაობის სურვილი აქვს, შევზღუდოთ და დამატებითი ბარიერები გავუჩინოთ, მით უმეტეს, როცა მას შესაბამისი კვალიფიკაცია უკვე აქვს. მაძიებელი მასწავლებლები აკადემიურ კურსებს უნივერსიტეტის პროგრამიდან გაივლიან, ხოლო პრაქტიკულ კომპონენტებში ჩვენ დავეხმარებით.*

*კანონში გაჩნდება ჩანაწერი, რომ მაძიებლის ხელფასი პრაქტიკოსი მასწავლებლის ხელფასის ტოლი იქნება და შესაძლებელია, სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე, მას სრული საათობრივი დატვირთვა მიეცეს.*

*ესაუბრა ლალი ჯელაძე*

საუბრები ლიტერატურაზე

# შოთა ნიშნიანიძის ლექსი „თევდორე...“ იდეურ-მხატვრული ანალიზი

ლექსი ისტორიული ხასიათისაა. მასში მოკლედ არის გადმოცემული 1609 წელს თურქთა დიდი ლაშქრის შემოსევა საქართველოში და მღვდელი თევდორეს გმირობა. შოთა ნიშნიანიძე, ლექსის საშუალებით, გვაბრუნებს წარსულში, საოცარი გრძნობით გადმოსცემს თევდორეს გმირობას და ერთ დიდ, ჩაუქრობელ სანთელს უნთებს ჩვენს გმირ წინაპარს. ლექსის თითოეული სტრიქონი მუსიკალურია, მუსიკა ქარს მოაქვს წარსულიდან და ჰაერში ფანტავს, იქვე, სადღაც ახლოს ლექსის სათაურთან. ლექსის სათაური კი ასეთია „თევდორე...“ და ... სამი წერტილი, პოეტი დიდი ემოციისთვის გვამზადებს, სათქმელი ბევრი აქვს, მოლოდინი მხატვრული ხერხის, „გაჩუმების“, საშუალებითაა მიღწეული.

ლექსის პირველი სტროფი რითმული თვალსაზრისით შერეული ხასიათისაა, მხატვრული ხერხები – „გაჩუმება“ – „თევდორე...!, თევდორე...!“, შემდეგ „გაპიროვნება“ – „ტირის ერთი ჩიტი“ და „გამეორება“ – „სულო, სულო, სულეთიდან რა განგებამ გამოგხიზნა“, მუსიკალური ნოტებივით ენაცვლება ერთმანეთს. ლექსში ჩიტი და თევდორე ერთი მთლიანობაა, ლექსის გმირი სამოთხის ჩიტია, ერთ დროს ამ ქვეყნის ხიზანი სამოთხეშია დამკვიდრებული. შერეულ რითმებს წყვილადი რითმები ცვლის, მეტაფორებს – ეპითეტები:

*„ბალღობაში ნუკრი იყო, თრიალეთზე ბალახობდა,*
*თეთრი ირმის ძუძუს წოვდა და ალგეთში კალმახობდა.“*

თევდორესთან ერთად ლექსის გმირები ჩიტები არიან, სამოთხის ჩიტები, ანგელოსნი, რომლებიც ხვნასა და თესვაში გარს ეხვევიან, სწორედ მათ იციან, რომ ის ერთია გამორჩეული, იციან, რომ თევდორე ზეციური ხარია, სწორედ ამიტომ ებმებიან მასთან ერთად უღელში, ამზადებენ მტკიცედ დგომისთვის. თხრობა კულმინაციას აღწევს, პოეტი გვამზადებს რაღაც ცუდისთვის, ერთხანს ისვენებს, ჩუმდება და შემდეგ მეწყერივით მოხეთქილი სიტყვა:

*„ათას ექვსას მეცხრე წელი, როგორც უპატრონო რაში,*
*ტორებს სცემდა, ჭიხვინებდა, მთიდან გადარბოდა მთაში.“*

...ათას ექვსას ცხრა წელს პოეტი უპატრონო რაშს ადარებს, მისი ჭიხვინი მოულოდნელობის ჭიხვინია სოფლიდან სოფელში გადასული. პოეტი ხალხურ შემოქმედებასაც იშველიებს და ვახტანგ გორგასალზე შეთხზულ ლექსს ოსტატურად არგებს თევდორეს.

*„წმინდა ბერი ლოცვად დადგა, ციდან ჩამოესმა რეკა...*
*თრიალეთთან მტერი მოდგა... დიდმა მთებმა იწყეს დრეკა“.*

ქართული ვენახი და ჯვარიც საფრთხეშია, აზღარბული სერი ჩალმოსნებითაა დაფარული. მოცემულ სტროფში საინტერესო შედარებებია:

*„ქართულ ვენახს, ქართულ ჯვარს, ქვეყნის ოთხივ მხარეს,*
*როგორც იატაგანი, სხეპს თურქული მთვარე,*
*აჰა, მახვილ-შუბებით აზღარბულა სერი,*
*ჩალმოსანთა მწკრივები ჰგავს სიკვდილის წერილს”.*

იქვე – *„და სიკვდილის ეტრატივით იგრაგნება ქართლი“.*

განმარტებაც ზედმეტად მიმაჩნია იმხელა ტკივილია ამ სიტყვებში.

შვიდფეროვან ცისარტყელებს და ხოხობა ცისკრებს აკუწვა ემუქრებათ. ცისარტყელა იმედია, იმედის აკუწვა საშინელებაა, მაგრამ აქვე შეიძლება ვთქვათ, რომ ცის კარიბჭე ლამაზი სულებისთვის, ხოხობთათვის გახსნილია. ლექსში არ ჩანს როგორ აწამებენ და კლავენ მღვდელს თურქები. პოეტი აზღარბული სერებისა და აკუწული ცისარტყელების ამბის თხრობის დასრულების შემდეგ ისვენებს, რათა კვლავ მოიკრიბოს ძალა მძიმე ისტორიის გასაგრძელებლად.

პოეტი „შენ ხარ ვენახის“ საგალობელს თევდორეს გმირობით მოსავს:

*„შენ ხარ ვენახი აჩეხილი, მესიის სურვილი ამხდარი,*
*ღვთის სახლი, სათნო სახლი დამეხილი,*
*ნაქცეული, დაქცეული საყდარი.“*

მამაოს ლოცვა შეწყვეტილია, ის დამწვარი სანთელია, ქართველობას შეწირული ლომია, მისი სისხლი „ანაფორის ღამიდან“ დაღვრილი სისხლია. სისხლიან ანაფორას, ღამესა და შავს ლექსში ცვლიან ანგელოზები, რომელთაც ანაფორის ნაწილები ავგაროზებად მიაქვთ. ავგაროზებად იმიტომ, რომ შემდგომში მაინც დაიცვან ავი სულებისგან ქვეყანა. მამაოს სული „ფერადგასისხლული შინდია“, განწმენდილი ცოდვათაგან, როგორც შუშანიკი ამბობს: „სისხლი ჩემი განწმენდილია ცოდვათა ჩემთაგან“. თევდორეც ცოდვათაგან განწმენდილია, საყდრის ზარები დამუნჯებულან, მაგრამ მამაოს სული ენად გამობმიათ.

*„როგორც სული, შენი სული, ფერად გასისხლული შინდი,*
*გამოება ენად ზარებს, საყდრის დამუნჯებულ ზარებს“.*

მხატვრული ხერხები: „გაჩუმება“, „გამეორება“ და „რიტორიკული შეძახილი“, ლექსის ბოლოს, ემსახურება მთავარი სათქმელის შეჯამებას:

თევდორე...!, თევდორეე...! და ბოლო აკორდი, ამოსუნთქვა პოეტისა, *„შენისთანა მეკვლე გვინდა“.*

თევდორეს ეპიტაფია (რაც საფლავის ქვაზე წარწერას ნიშნავს), ცაშია დაწერილი.

**ნონა კევლიშვილი**
*სსიპ ქალაქ თბილისის №190 საჯარო სკოლის*
*ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი*

# ევროპეიზაციის გზა – ქართული იდენტობის შენარჩუნების გარანტი
## ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ მიხედვით

პოსტსაბჭოთა საქართველოსთვის დღეს განსაკუთრებით აქტუალურია ილია ჭავჭავაძის ნააზრევის გაგება-გაანალიზება. გარკვეული პერიოდი საბჭოთა იდეოლოგიისთვის საფრთხის შემცველი იყო ილიას შემოქმედება, განსაკუთრებით კი – მისი პუბლიცისტიკა. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან ილიასთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ქართული ნაციონალური იდენტობის, ერთიანი ქართული სულის „შექმნა“. მე-19 საუკუნეში ჩვენი ქვეყანა კოლონიზებული იყო. 1811 წელს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალია საეგზარქოსო მმართველობად შეიცვალა. რუსეთის იმპერიის ფარგლებში, სოციალური და კუთხური დაყოფის შედეგად, დავკარგეთ დამოუკიდებლობა. ალექსანდრეს მანიფესტით, საქართველო გამოცხადდა რუსეთის ერთ-ერთ პროვინციად. სიტყვა „საქართველოს“ ხსენებაც კი აიკრძალა. არაერთი შეთქმულების მარცხით დამთავრების შემდეგ ქართველები შეურიგდნენ მონურ მდგომარეობას. ტოტალური უიმედობის საქართველოში ინიციატივების, გადაწყვეტილებების მიმღები არავინ იყო. ქართველები ფსევდოკომფორტში იყვნენ, რამაც ეროვნული ენერგიის სრული ატროფია გამოიწვია. ქართველი თავადაზნაურებისათვის „ხელდასხმული მესიის მახვილი“ რუსთხელმწიფე იყო. რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ერთიანი საქართველო, როგორც ცნება, არ არსებობდა არც არსობრივად და არც გეოგრაფიულად. რუსეთის იმპერიაში შემავალი ქვეყანა ქუთაისისა და თბილისის გუბერნიებად იყო დანაწევრებული. „დარღვეული ქართველების“ ცნობიერებაში ამის ფენიქსივით აღდგენას შეეცადა ილია. ის ახალი ნაციონალური თვითშეგნების გაღვიძებას შეეცადა იმდროინდელ ქართველში. მე-19 საუკუნიდან არა მარტო ჩვენთან, არამედ მთელ მსოფლიოში დაიწყო პროცესი დანაწევრებული იმპერიების ერთ სახელმწიფოებად ჩამოყალიბებისა; ილია ფეხდაფეხ მიჰყვა ამ პროცესს და ევროპული სახელმწიფოების შექმნის მოდელით ფიქრობდა გახლეჩილი ქვეყნის, რუსეთის იმპერიისგან დანაწევრებული გეოგრაფიული ლოკალის, გაერთმნიშვნელოვნებას. ილია ერთა თვითგამორკვევის პროცესს გულდასმით ადევნებდა თვალს და ახალ სინამდვილესთან ადაპტაციისკენ მოუწოდებდა საღათას ძილით მიძინებულ ერს. ილია ჭავჭავაძეს საქართველოს რუსული რეალობიდან რელოკაცია და ევროპასთან ადაპტაცია მიაჩნდა ერის ხსნად. ილია გუმანით ხვდებოდა, რომ რუსეთის იმპერიას დიდი ხნის არსებობა არ ეწერა; თუ ჩვენ არ ამოვიდოდით ამ ჭაობიდან, ნანგრევების ქვეშ აღმოვჩნდებოდით. ილიასთვის რუსეთის იმპერატორი, იმდროინდელი ქართველებისგან განსხვავებით, საფიცარი არ იყო, არც რუსეთი მიაჩნდა ცივილიზაციისა და პროგრესის მექად. მას მხოლოდ მამულის მსახურება და სამოქალაქო აქტივობა მიაჩნდა ერისკაცისა და ქრისტიანის მოვალეობად.

1861 წელს შექმნილ „მგზავრის წერილებში“ ჩანს ოპოზიცია რუსულ რეალობასა და ევროპასთან. იმდროინდელ ქართველებს, რომელთაც რუსეთის იმპერია განვითარებისა და პროგრესის ერთადერთ ფლაგმანად მიაჩნდათ, ილია მკაცრად და მოურიდებლად ამხელდა თავიანთი დრომორჭმული აზროვნებისა და მონური, „ქედდრეკილი“ მდგომარეობის გამო. „მგზავრის წერილებში“ ილია ცდილობს, დაგვანახოს რუსეთის პირდაუბანლობა, მოუვლელობა, ცრუ, მოჩვენებითი განვითარება, რაც დასაცინად არ ჰყოფნის „ფრანსიელს“; ევროპა დასცინის რუსეთის ჩამორჩენილობას და ამით უფრო მეტად უსვამს ხაზს ჩვენს უუნარობას, რომ მონჯღრეული ეტლით მოსიარულე რუსეთის ანაბარად და იმედად დარჩენილი ქართველები, წინსვლის ნაცვლად, გაუგებარი მიმართულებით მიდიან. ილია, თავის პუბლიცისტურ წერილში „აზია წინათ და ახლა“ (1889 წ.), აღნიშნავდა, რომ პროგრესის გზა დაკავშირებულია ევროპასთან, რომ ევროპას დარჩა ბურთი და მოედანი და *„იგია დღეს გამგებელი ქვეყნიერობისა, იგია დღეს ქვეყნის უღლის მწეველი და იგივეა ქვეყნის სიკეთის მკრეფავი და პატრონიცა“.*

„მგზავრის წერილებში“ *„ფოშტის პოვოსკის“ „სქელკისერა იანშჩიკის ბრიყვი სახე“* რუსული ყოფის ამსახველია. მას *„უადამიანო და პირუტყვული მიხვრა-მოხვრა“* აქვს, რაც უდავოდ მიუთითებს იმდროინდელი რუსეთის მორალურ-ეთიკურ „განვითარებაზე“. ის თავს აყვედრის მგზავრს და ბუზღუნ-ბუზღუნით მიაჩაქჩაქებს დანჯღრეულ ეტლს, რომელსაც თითქმის საერთო არაფერი აქვს სატრანსპორტო საშუალებასთან. იამშჩიკი უბღვერს და უხეშად ექცევა ყველას და ყველაფერს, თავი სამყაროს ერთადერთ გადამრჩენლად და მოამაგედ მიაჩნია. პირუტყვს (ცხენებს) სასტიკად ექცევა და „შოლტს“ უქნევს. რუსეთის იმპერიის ზრახვები თვალსაჩინოვდება მის ნებისმიერ ქმედებაში.

უვიცობისა და სიბრიყვის აპოთეოზია პოდპორუჩიკი N, რომელიც თავს იწონებს რუსეთის შვილობით, დასცინის *„უდაბურსა და ვერანა ადგილს“* (საქართველოს) და უკულტუროს, გაუნათლებელს ეძახის იმ მხარეს, სადაც *„როტა“* აბარია. ღვინოსთან და არაყთან ძალიან დაახლოებული აფიცერი საგანმანათლებლო კურსის ჩატარებას ცოდვილობს ილიასთან და სომხის სოვდაგრად მიჩნეული ქართველი როგორლაც არ ეპიტნავება. ვაიმეცნიერი თავისი გამოგონებებით ამეტებს თავს განათლების მექაში (პეტერბურგში) ფეხშედგმულ მგზავრს და *„ცივილიზაციის, ასოციაციის, არგუმენტაციის, ინტელიგენციის, კასსაციის, ფილოლოღიის“* ახსნას ჩემულობს *„წიტიანი ქალაქის“* მკვიდრისთვის. მისთვის იზლერის ბაღი ფერიებით სავსე სამოთხის ბაღია, რუსეთი – სამყაროს ჭიპი, რუსები – მსოფლიოს განმანათლებლები. არაფრის მომცემი გამოგონებებით თავი მოაქვს და ქვეყნის წინსვლას გენერლების რაოდენობითაც ხსნის.

დღისა და ღამის, თერგისა და მყინვარის დაპირისპირებით ილია მიძინებული ქართველების ჭირისუფლობას იღებს თავის თავზე და ქვეყნის გადარჩენის ერთადერთ გზად მოძრაობას ასახელებს. პასიურობა, ცრუ პატრიოტობა, სხვა ქვეყნის ქუდის დაფარება ეჯავრება ილიას. მან იცის, რომ დამდგარსა და დამყაყებულ წყალში ჭიაღუები იდებენ ბინას. ამ ტექსტით გეოგრაფიული და ცნობიერებითი საზღვრების გახსნას და რეალობის დანახვებას ცდილობს ქართველებში. თუკი დღისა და ღამის ოპოზიციებს სიმბოლურ მნიშვნელობებს მოვუძებნით, ღამე ბნელი რუსეთია თავისი შთანმთქმელი ზრახვებით, ხოლო დღე ცივილიზებული ევროპის მნიშვნელობის მატარებელია. ორ ნაწილად გახლეჩილი ქართველები (თერგსიქითა და თერგსაქეთა) გულს უკლავენ მგლოვიარე ჭირისუფალს და ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისკენ ამიტომაც მოუწოდებს მათ. ილიამ იცის, კონსოლიდაციის გარეშე ამ ჩიხიდან გამოსვლა არ მოხერხდება. აღარ ეგულება თავის ქვეყანაში ერის მოამაგეები და ეს გასჩენია მთავარ საფიქრალად: *„ადამიანი აღარა სჩანს ჩემს გარშემო, ვაი, რა ცარიელია ეს სავსე ქვეყანა უადამიანოდ!“*

მიუხედავად იმისა, რომ ილიას ევროპა მთავარ პარტნიორად მიაჩნია, ეროვნული სულისა და ცნობიერების შენარჩუნება ამ ტექსტის უმთავრეს სათქმელს წარმოადგენს. ვინ არის მოხევე ლელთ ღუნია? ტყაპუჭიანი კაცი, რომელსაც მშიერი *„სტვამაქი“* ურჩევნია თავისუფლების დაკარგვას, მონურ ყოფას; ქართველი კაცი, რომელსაც ყველაფერი ქართული უხარებს გულს; ვინც კარგად იცის ქართველთა გადარჩენის ფორმულა – თუ ჩვენი თავი ჩვენადვე არ *„გვეყუდნება“*, ვერ ვიარსებებთ დიდხანს; რუსების ხელში ყოფნას (მოჩვენებით თავისუფლებასა და მშვიდობას) ბრძოლის ველზე გაჭრა ურჩევნია; მისთვის მთავარია, რომ ქართველები არ გადაშენდნენ, არ დაიმცრონ, არ გადაეშვან *„დიდი დაძინების ხახაში“* (ჯემალ ქარჩხაძე); ლელთ ღუნიასთვის რუსი თავისუფლების შემზღუდველი და მათი აზროვნების, ნებელობის უზურპატორია. ლელთ ღუნიამ იცის, რომ *„არა სხეულის, არამედ სულის საჭურისობას ჰქვია მონობა, და ვინც სხვას ართმევს თავისუფლებას, მონაა ისიც“* (ო. ჭილაძე). მოხევეს სატკივრად ქცევია ის, რომ სამშობლოს სიყვარული მოგონებებშიღა შემორჩა თითო-ოროლა ქართველს და განცხრომაში მყოფნი არც კი ფიქრობენ გაბრძოლებას, ხმის ამოღებას. ლელთ ღუნია ილიას ახსენებს, რომ თუ ქართველი ხარ, თხემით ტერფამდე უნდა ქართველობდე; ამიტომაც უწუნებს ის მგზავრს ტანსაცმელს და ამუნათებს უცხოური ჩაცმულობის გამო: *„ქართველის ტალავრის იერი სრულად სხვაა. რუსულჩი ქართველ კაც მეუცხოების“.*

ილია ჭავჭავაძემ *„ყველაზე უკულტურო ეგზემპლარს ქართველთა შორის ათქმევინა ის დიდი სიტყვა, რომელშიც 30 წლის კამათის შემდეგ ძლივს გაერკვა ქართველი ინტელიგენცია და რამდენი მაგიაა მართლაც ამ სიტყვებში! არიან სიტყვები, რომელნიც ველის ყაყაჩოსავით სულ მალე, მეორე-მესამეჯერ ხმარებაზე ჭკნებიან და ცვდებიან, სამაგიეროდ არიან სიტყვები, რომელნიც ზეცის ვარსკვლავებივით არასოდეს დაბერდებიან. ასეთი დაუძველებელი სიტყვებით შემოვიდა ილია ჭავჭავაძე საქართველოში: „ჩვენივე თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო“* (კონსტანტინე გამსახურდია)!

ლელთ ღუნიასნაირ ქართველებს ეძებდა ილია საქართველოში – შეურყვნელებს, მართლებს, სამშობლოს მოყვარულებსა და საკუთარი თავისუფლებისათვის მებრძოლ ადამიანებს. დღესაც არ დაუკარგავს „მგზავრის წერილებს“ სიმძაფრე და სასიცოცხლო მნიშვნელობა.

მაია მენთეშაშვილი
*ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის*
*199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და*
*ლიტერატურის მასწავლებელი*

**გამოყენებული ლიტერატურა:**
**ჭავჭავაძე ილია,** „მგზავრის წერილები“, წიგნში „ქართველი მწერლები სკოლაში“, წიგნი 3, თბილისი, 2007.

# 25 თებერვალი და თანმიმდევრულობის ვერდასწავლილი სხვა გაკვეთილები

*„ჯვრით, ცულით და მათრახით,*
*ლოცვით და დედის გინებით.“*
აკაკი წერეთელი

თანმიმდევრულობა მნიშვნელოვანია, ამასთან მნიშვნელოვანია როგორც მთელი ერის, ასევე მისი ცალკეული მოქალაქეებისა. სწორი არჩევნის შემდეგ, თანმიმდევრულობა ალბათ ყველაზე მეტი სიქველეა! მე თუ მკითხავთ, თანმიმდევრულობა გონივრულობის აუცილებელი პირობაც კია! თანმიმდევრულობის გარეშე, ვაზნევთ მოყვარეს და ვახარებთ მტერს, რომელიც, ბედის ირონიით, ჩვენს მიმართ, ზედმიწევნით თანმიმდევრულია! თანმიმდევრული იყო მაშინ, როცა 95 წლის წინ, 1921 წლის 25 თებერვალს მისმა მე-11 წითელმა არმიამ არაფრად ჩააგდო საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულება და დაიკავა თბილისი. თანმიმდევრული იყო იმიტომ, რომ ლამის ერთი საუკუნით ადრე, 1801 წლის 12 სექტემბერსაც იგივე გააკეთა, როცა იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა გვერდზე გადადო გეორგიევსკის ტრაქტატი (რომელიც ზღუდავდა, მაგრამ არ აუქმებდა ქართლ-კახეთის სამეფოს სუვერენიტეტს) და ხელი მოაწერა უმაღლეს მანიფესტს – ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსეთის იმპერიასთან მიერთების აქტს:

*„ჩვენ აღსრულთა ყოვლისა რუსეთისა საყდარსა ზედა ვჰპოვეთ სამეფო საქართველოისა შეერთებული რუსეთისადმი, რომლისთვისაცა გამოცხადება იყო უკვე 18 იანვრის დღესა 1801 წელსა... ერთმორწმუნე ხალხის განსაცდელში მხარდაჭერის ვალდებულებამ გვაიძულა თქვენი მფარველობაში მიღება. ისედაც ვრცელი იმპერიის საზღვრების კიდევ უფრო გაფართოებისათვის კი არ ვიტვირთეთ საქართველოს მმართველობის სიმძიმე“* და ა.შ.

ამასთან იმპერატორი და თვითმპყრობელი ყოვლისა რუსეთისა და სხვათა, და სხვათა, და სხვათა მანიფესტის ბოლო აბზაცში შეახსენებდა *„ყოველთა საქართველოსა სამეფოსა შინა მყოფთა“*, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთება ქართველთა საკეთილდღეოდ მოხდა, *„რათა სცნათ თქვენ ფასი კეთილად მმართველობისა“* (Наконец, да познаете и вы цену доброго правления).

რუსეთის იმპერია ალექსანდრე პირველის ამ მანიფესტამდე თანმიმდევრული ნაბიჯებით მივიდა, წესით, შესაბამისი თანმიმდევრული ნაბიჯებით უნდა დაპირისპირებოდა მას საქართველოს სამეფო კარიც, თუმცა პლატონ იოსელიანის გადმოცემით („ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“), ამაოდ მოუწოდებდა გონზე მოსვლას დავით მემკვიდრეს იოანე სარდალი: *„ბატონიშვილო და ბიძავ! ნუ ჰკარგავ მეფობას, მიბრძანე და გამოუცხადებ რუსსა აქა ჯარსა წარვიდეს რუსეთად და თუ არა იქმს რუსისა ღენერალი, ადვილია მისი აქედან განდევნა. დავიცვათ მეფობა და განვამტკიცოთ მეფობითი სახელი ჩვენი. როგორც გვიმეფნია, ისევე ვიმეფოთ“.*

და რა გააკეთა დავითმა?

*„მეფის ძემან დავით მიუთხრა ესე ამბავი ღენერლებსა ლაზარევსა და კოვალენსკის“!*

სწორედ დავითის ამ და სხვა არაერთმა საქციელმა ათქმევინა სოლომონ ლიონიძეს გლოვითა: *„დავითმან დაღუპა ოჯახი მეფეთა, გამოსჭრა ყელი მეფობასა და დაამცრო ერი თვისი და თვით თავი თვისი“.*

დავით მემკვიდრემდე ბევრად უფრო ადრე გიორგი მეთორმეტემაც არ შეისმინა მასთან დაახლოებული კათოლიკე პატრის ნიკოლა რუტილიანოს დაჟინებული რჩევა, არ მინდობოდა უცხო ხელმწიფეს და ქვეყანა არ დაექვემდებარებინა რუსეთისათვის (დ. შველიძე „საქართველოს მფარველობა და დაპყრობა რუსეთის მიერ“):

*„სხვათაგან დამოკიდებული ქვეყანა იქმნება დაცინებული და საკიცხველი. უცხო ნათესავი, პატრონად ქვეყნისა მოყვანილი, შეექმნება ერსა მტერად და მდევნელად, და მაწუხებლად. მამაშვილური მთავრობა მეფეთა, – გარდაიქცევა მამინაცვლისა და დედინაცვლისა სახედ სიყვარულისა უგვანისა და ბუნებისაგან არასოდეს აღსარებულისა. რუსნი შემოიტანენ პირველადვე მძიმესა უღელსა და ქვეყნისა კისერსა. მოითხოვენ დიდთა ხარკთა, რომელთაცა თქვენ ვერ შესძლებთ. მაშინ თქვენი მამულნი და ყმანი გაისყიდებიან ბარაბანითა და მკვდარნი თქვენი დაიმარხებიან მუსიკითა“.*

ქართველები გონს დაახლოებით სამი ათეული წლის შემდეგ მოეგნენ: დაიწყო შეთქმულებრივი პატრიოტული მოძრაობა და მზადება სახალხო აჯანყებისთვის, რომლის გზითაც რუსის ჯარი უნდა განედევნათ და ქვეყნის დამოუკიდებლობა უნდა აღედგინათ. კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის პოლკოვნიკ ცებრიკოვს სოფელ ხაშმთან სწორედ ამგვარი ინფორმაცია მიუტანეს. მან კი, როგორც გ. გოზალიშვილი წერს თავისი ნაშრომის, „1832 წლის შეთქმულების“ პირველ ტომში, სწრაფად მოახსენა მთავარმმართებელ გრიგორი როზენს, რომ *„საქართველოს სოფლებს აზრად ჰქონდათ აჯანყებულიყვნენ, რათა რუსის ჯარი ნაწილობრივ ამოეჟლიტათ, ნაწილობრივ კი საქართველოდან გაეძევებინათ“.*

1832 წლის შეთქმულებრივი მოძრაობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო ალექსანდრე („პუპლია“) ორბელიანი, ერეკლე მეორის შვილიშვილი, რომელმაც სიყმაწვილეში, „ვიდრე თვალი აეხილებოდა“ იმერეთში აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში „გამოიჩინა“ თავი, თუმცა სულ მალე მოიძულა დამპყრობელი და სიცოცხლის ბოლომდე აღარ შეუცვლია მრწამსი. აკი სიჭარმაგეში იხსენებდა კიდეც: *„მთელი კავკასია შავი ზღვიდან მოკიდებული კასპიის ზღვამდისინ, სრულიად მთებისა და ბარის ხალხი, უნდა გავერთიანებულიყავით და ერთიანი აღრეულობა უნდა მოგვეხდინა. ან უნდა გავწყვეტილიყავით სულ ერთიან ან არადა მამული გამოგვეხსნა, საშინელის ჩვენის მტრის რუსეთისგან“.*

ასევე ბოლომდე თანმიმდევრული იყო სიმონ მაჩაბელიც, 1832 წლის შეთქმულებრივი მოძრაობის კიდევ ერთი მონაწილე (ვანო მაჩაბლის პაპა), რომელიც გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ თავის მამულში – თამარაშენში ჩაიკეტა და ყოველ ცისმარე დღეს აგზავნიდა მოსამსახურეს ცხინვალში იმის გასაგებად, *„წავიდნენ რუსები თუ ისევ იქ დგანან“*, მოსამსახურე კი თურმე უპასუხებდა: *„არა, ბატონო, რუსები ჯერ კიდევ არ წასულანო“.*

ცხადია, სიმონ მაჩაბელი, პუპლია ორბელიანი და კიდევ რამდენიმე მამულიშვილი, თავიანთი თანმიმდევრულობით გამონაკლისი იყვნენ. მთლიანობაში მე-19 საუკუნის ქართველობამ (ქართველი თავად-აზნაურების თითქმის მთელმა გვაროვნულმა და ინტელექტუალურმა ზედაფენამ), შეთქმულების კიდევ ერთი მონაწილის გრიგოლ ორბელიანის „ოქროს ბორკილების“ გზა აირჩია (არაფერს ვიტყვით იასე ფალავანდიშვილზე – პეჩორის თავადად წოდებულზე, რომელმაც შეთქმულებრივი მოძრაობა გასცა) და ყოვლისა რუსეთის იმპერატორისა და თვითმპყრობლის სამსახურში ჩადგა.

XX საუკუნის 20-იან წლებში რუსეთმა (ამჯერად უკვე საბჭოთა რუსეთმა) ასევე შესაშური თანმიმდევრულობით გააგრძელა იმპერიის პოლიტიკა, საქართველომ კი კვლავ არათანმიმდევრულობით უპასუხა. არადა, 1921 წლის 25 თებერვალს გამოსული ქართული პრესა გვაფიქრებინებს, რომ მტერ-მოყვარე მკაფიოდ იყო გამორჩეული ერთმანეთისგან.

25 თებერვლის გაზეთმა „საქართველომ“ გამოაქვეყნა კათალიკოს პატრიარქის, ლეონიდეს სიტყვა თქმული 20 თებერვალს თბილისის მცხოვრებლებისადმი სამხედრო ტაძრის ეზოში. ცნობილია, რომ 19 თებერვალს თბილისის დამცველებმა „წითელი არმიის“ მასშტაბური შეტევა მოიგერიეს. ფრაგმენტი პატრიარქის სიტყვიდან:

*„თვითეულს აქ მდგომთაგანს ნათლად და ცოცხლად გვეხატება თვალწინ ის ბნელი ჯოჯოხეთი და ყოველ ზომას აღმატებული უბედურობა, რომელიც თავს დასტრიალებდა ჩვენს დედაქალაქს და მასთან ერთად ჩვენს სამშობლოს. მყრალი მტერი გვექადოდა აოხრებას, განადგურებას, გაუპატიურებას და სამარცხვინო უღლის დადგმას. ...მომენტი მოითხოვს, რომ მოხდეს ყოველი ძალების მობილიზაცია. მთავრობა მეთაურობას გვიწევს თავდაცვის საკითხებში და ჩვენც ყველანი მოვალენი ვართ, მჭიდროდ გავერთიანდეთ მის გარშემო, დავივიწყოთ პარტიული განსხვავება, ყოველგვარი განხეთქილება, უსიამოვნება, თუ გნებავთ, ცხადი უსამართლობაც. ჯერ მტრის დამარცხება და ჩვენი დამოუკიდებლობის განმტკიცება, მერე შინაური საქმეების მოგვარება.*

*ზეციურო ჩვენო მამაო, მუდმივი ძლევა გამარჯვების ბრწყინვალე შარავანდედს ნუ მოაკლებ ქართველ ჯარს!*

*იესო ტკბილო, აღაყვავე, გააძლიერე და განამტკიცე ჩვენი ნორჩი დემოკრატიული რესპუბლიკა!“*

„ერთობა“ კი წერდა:

*„რუსის ბარბაროსულმა ქუსლებმა უნდა სთელონ ჩვენი კარმიდამო, თუ ევროპის ნათელმა სხივმა უნდა გააბრწყინოს ჩვენი ცხოვრების მომავალი ბაღნარი? – აი, რა წყდება დღეს!“*

25 თებერვალს გამოსული კიდევ ერთი გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ მკითხველს შეახსენებდა, თუ როგორი ვერაგი მტერი უტევდა სამშობლოს:

*„ზოგმა [დამპყრობელმა] ქუდი დაგვიტოვა თავისი, ზოგმა ტანსაცმელი, ზოგმა ცბიერება, ზოგმა თვალთმაქცობა, ზოგმა უზნეობა, ზოგმა ენა შეგვირყვნა და ზოგმა რჯული, მაგრამ იმდენი ზარალი, ზნეობრივ-გონებრივი ზარალი, არავის არ მოუყენებია, როგორიც მოგვაყენა რუსეთმა. სხვა მტერი რომ შემოვიდოდა ხოლმე საქართველოში, მიანგრ-მოანგრევდა, ააწიოკებდა მას და კვლავ გარბოდა. საქართველო რჩებოდა ისევ თვითარსად, თვითმმართველად, თავის თავის გამგებლად და ავად თუ კარგად თვითვე უვლიდა თავის შინაურსა და გარეშე საქმეებს. რუსები კი, მოვიდნენ თუ არა საქართველოში, მაშინვე სწვდნენ ქართველ ერს სულის სიღრმეში და მოინდომეს მისი გადაგვარება, მისი თავისებურობის მოსპობა. მათ თანდათანობით მოსპეს ჩვენი ეროვნული სკოლა, სამართალი, შემოიტანეს თავისი კანონები, სატუსაღოები, სკოლები, ყაზარმები და მონღოლურ-სლავური ვერაგობით იქამდე გაგვიხადეს საქმე, რომ დღესაც კი – რუსეთის დანგრევის შემდეგაც კი არამც თუ ძველი თაობა, არამედ ახალი თაობაც კი ჯერაც გონს ვერ მოსულა და ისევ რუსულად აზროვნებს, მღერის, ჟღმურტულებს. მარტო ბრმა და ყრუ ან ჯიუტი და მოღალატე ქართველი – მახარაძე-ორჯონიკიძის ტიპისა, თუ ვერ დაინახავს იმ უფსკრულს, რომელსაც უმზადებს ქართველ ერს დღევანდელი რუსეთი.“*

თუმცა, საქმეც ისაა, რომ მახარაძე-ორჯონიკიძის ტიპის ქართველები ბევრნი აღმოჩნდნენ. მე-11 წითელმა არმიამ და შულავერში შემდგარმა საქართველოს რევკომმა, რომელსაც ფილიპე მახარაძე თავმჯდომარეობდა, იოლად გააწითლეს საქართველო, რომელმაც მალევე დაივიწყა „რუსის მტრობა“ და შემდგომი 70 წლის განმავლობაში ერთგულად და სიყვარულით (დათვი რომ მოგერევა, ბაბაია დაუძახეო) ემსახურა ერთმორწმუნე მეზობელს.

რუსეთის დამოკიდებულება საქართველოსადმი ასევე თანმიმდევრული იყო გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა საბჭოთა კავშირის ნანგრევებიდან საქართველოს გამოსვლის მცდელობას სისხლში ახშობდა და ასეთად რჩება დღესაც, როცა საქართველოს ევროპული არჩევნის პასუხად ოკუპირებული აქვს აფხაზეთი და სამაჩაბლო. წესით, ამგვარ თანმიმდევრულ მტრობას საქართველოც თანმიმდევრული ნაბიჯებით უნდა პასუხობდეს, მაგრამ ამის სანაცვლოდ რაც დრო გადის, სულ უფრო მრავლდებიან და ძლიერდებიან დავით მემკვიდრის, იასე ფალავანდიშვილის და შულავერის რევკომის სულიერი მემკვიდრეები ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და პოლიტიკური მოძრაობების სახით, რომ არაფერი ვთქვათ სტალინის ქართველობითა თუ რუსეთის ერთმორწმუნეობით გაბრიყვებულ თანამოქალაქეებზე.

შეიძლება მტერს ვერ მოერიო, ვერც დაამარცხო და ვერც თავი შეაკლა, მაგრამ ამის გამო მისი მოკავშირე არ უნდა გახდე!

არ შეიძლება წყალში გადაყარო შენი წინაპრების ლამის სამასწლიანი გამოცდილება, ბრძოლა და თავგანწირვა!

როგორ შეიძლება იყო ასეთი არათანმიმდევრული, როცა საქმე სამშობლოს თავისუფლებას და მის მომავალს ეხება? მით უფრო, რომ ჩვენგან არავინ მოითხოვს ისეთ თანმიმდევრულობას, როგორითაც ისტორიას შემორჩა ძველი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში მცხოვრები რომის მოქალაქე, ციცერონის მეგობარი ტიტუს პომპონიუს ატიკუსი (Titus Pomponius Atticus), რომელმაც მას შემდეგ, რაც წყალმანკით დაავადდა, ხოლო ექიმების ძალისხმევამ შედეგი ვერ გამოიღო, გადაწყვიტა შიმშილით მოეკლა თავი და ამგვარად მოეღო ბოლო ტანჯვისათვის. დაემშვიდობა მეგობრებს, ნათესავებს და უარი თქვა საკვების მიღებაზე, მაგრამ მოხდა „სასწაული“: გარკვეული დროის შემდეგ შიმშილობის შედეგად დაავადებამ უკან დაიხია, რამაც ძალზე გაახარა ავადმყოფის ახლობლები, თუმცა არა თავად ატიკუსი, რომელმაც არ შეწყვიტა შიმშილობა.

„როცა ასე ახლოს მიხვალ სიკვდილთან, სირცხვილია უკან დაბრუნება“, თქვა და შიმშილით მოიკლა თავი.

ცხადია, ჩვენგან ასეთ თანმიმდევრულობას არავინ ითხოვს! სულ ცოტა ის მაინც უნდა შევძლოთ, რომ ერთმანეთისგან მტერი და მოყვარე გავარჩიოთ! თუ არ ვიბრძოლებთ, სიმონ მაჩაბელივით ყოველ დილით ის მაინც ვიკითხოთ, წავიდნენ ცხინვალიდან რუსები თუ ისევ იქ დგანან?



**ჯიმშერ რეხვიაშვილი**

პროფესიული განვითარება

# Təcrübəçi müəllimin karyera irəliləyişi yolu

*Müəllimlik fəaliyyətinin başlanılması, peşəkar inkişaf və karyera irəliləyişi sxemində ötən il həyata keçirilmiş dəyişikliklərə əsasən, təcrübəçi müəllimin peşəkar inkişafı və karyera irəliləyişi yolları dəyişmişdir. Sxem karyeranın dayandırılması hissəsindən ibarətdir və müəllimlərə irəliləyiş üçün alternativ yollar təklif edir. Təcrübəçi müəllimlərin müəyyən müddətləri ləğv edilmişdir, bunun əvəzinə, onlar peşəkar bacarıqlarda sınaq imtahanları yolu ilə peşəkarlıqlarını təsdiq etməlidirlər (imtahanlar indi sınaq imtahanları adlanırlar). Təcrübəçi müəllimlərin karyera irəliləyişi üçün bir neçə yolları vardır, yəni dövlət onlara alternativ yollar təklif edir; eləcə də əlavə fəallıqlarla kredit balların toplanılması imkanı verilir.*

*Sxemin məqsədi ondan ibarətdir ki, müəllimlərin peşəkar inkişaf və karyera irəliləyişinin eyni imkanları olsun, o cümlədən də qeyri-gürcü dilli məktəblərin və ya şöbə müəllimləri üçün. Bu günkü göstəricilərə əsasən, qeyri-gürcüdilli şöbələrdə 7744 müəllim qeydə alınır, onların arasında 7 aparıcı, 559 baş, 6901 isə təcrübəçi müəllimdir və bir nəfər də mentor yoxdur. Əksəriyyətin təcrübəçi müəllim olduğundan irəli gələrək, qeyri-gürcü dilli müəllimlər üçün Müəllimlərin Peşəkar İnkişafı Milli Mərkəzinin davamlı peşəkar təhsil və karyera irəliləyişi proqramının rəhbəri **İrina Samsoniya** ilə müsahibəni hazırlamışıq. O, sxemin təcrübəçi müəllimlərə karyera irəliləyişi üçün hansı alternativ yolları təklif etdiyini, əlavə fəallıqların payının necə artdığını, kredit balların necə toplanılacağını və onlar üçün əlavə hansı imkanların yaradıldığını ətraflı şəkildə təsvir edir.*

**– Sxemin təcrübəçi müəllimlərə karyera irəliləyişi üçün təklif etdiyi yolları təsvir edin**

– Təcrübəçi müəllimlər üçün icbari vasitələrlə kredit balların toplanılması, əlbəttə ki, bu yollardan biridir. Bu halda, o, daxili dərs müşahidəsindən iki dəfə keçməlidir ki, bu yolla da 4 kredit bal əldə etmiş olsun. Fənn və peşəkar bilgilərin təsdiqlənməsi üçün ona cəmi 15 kredit bal toplamaq lazımdır. Müəllimin fənn və peşəkarlıq bilgilərini təsdiqləməsi üçün sınaq imtahanlarının nəticəsində bu 15 kredit balı əldə edə bilmədiyi halda, lazımi kredit balları başqa fəallıqlarla tamamlayır. Daha dəqiq desək, 19 icbari kredit baldan fənn və peşəkar bilgilərin təsdiqlənməsi üçün nəzərdə tutulmuş 15-ni müəllim yalnız sınaq imtahanının, eləcə də müvafiq istiqamətdə müxtəlif fəallıqların həyata keçirilməsi yolu ilə toplaya bilər. Bunun üçün təcrübəçi müəllimə əlavə fəallıqların siyahısını təklif edirik.

Təcrübəçi müəllimin baş müəllim pilləsinə keçməsinə görə, onun üçün nəzərdə tutulmuş karyera irəliləyişinin üç yolundan hər hansı birini seçmək imkanı verilir, amma 19 kredit balın toplanılması zərurəti haqqında şərt dəyişməz qalır.

**Birinci yol: daxili dərs müşahidəsi – 4 kredit bal, fənn və peşəkar bilgilərin təsdiqlənməsi – 0-dan 15 kredit bal.**

Təcrübəçi müəllim hər hansı bir imtahanı vermişdirsə, yəni fənn və ya peşəkar bacarıqlar bilgilərini təsdiqləmişdirsə, bir də imtahanı, - hər iki istiqamətdə bilgilər üzrə imtahanı verməli deyil, o yalnız bir dəfə bilgilərini təsdiqləyir. Heç bir imtahanı vermədiyi halda, hər iki imtahanı verməlidir. Sınaq imtahanı yolu ilə yığılmış kredit balların əsasında onun özü planlaşdırır ki, kreditləri doldurmaq üçün sonra hansı fəallığı yerinə yetirməlidir. Müəllimin imtahanda sıfır bal aldığı halda, yenidən imtahan verməlidir, çünki dediyimiz kimi, sınaq imtahanı yolu ilə bilgilərin təsdiqlənməsi zəruridir.

Buradaca alınan balların kredit ballara keçidinin necə baş verdiyini nəzərinizə çatdırmaq istəyirik: müəllim fənn və ya peşəkarlıq bilgilərini təsdiqlədiyində, balların 61%-ni toplamışdırsa, bu zaman ona maksimal 10 kredit bal veriləcəkdir, 51-dən 61%-ə qədər – 7, 41-dən 51%-ə qədər – 4, 31-dən 41%-ə qədər isə - 1 bal. Aşağı sədd 30 balla müəyyənləşdirilir. Bu onu bildirir ki, sınaq imtahanları nəticəsində 30 baldan aşağı toplayarsa, bu halda kredit balı əldə etmir.

**İkinci yol: Fənn və peşəkar bilgiləri təsdiqlədikdə, hər birində 10 kredit bal əldə edəcəkdir.**

Müəllimin fənn və peşəkarlıq bilgilərini təsdiqləməsi yolu ilə yetərincə bal topladığı halda, yəni cəmi 15 kredit bal topladığında, ona daxili müşahidəni keçmədən baş müəllim statusu veriləcəkdir. Təcrübəçi müəllim, hər iki istiqamətdə bilgilərini təsdiqləmək üçün sınaq imtahanını verir. Bu imtahanı da Milli İmtahanlar Mərkəzi təşkil edir. Yalnız bundan sonra, hər bir istiqamətdə neçə bal əldə etdiyinə əsasən, müəllim karyera irəliləyişi üçün özünün fəaliyyətini planlaşdırır.

**Üçüncü yol: doktor dərəcəsinə malik müəllimin hazırlığının təhsil proqramını təsdiqləyən sənəd**

Təhsil istiqamətində və ya tədris etdiyi fənn üzrə doktor və ya ona bərabər tutulan akademik dərəcəsini qazanan müəllimə birbaşa baş müəllim statusu verilir.

Daha bir yol müəllimin hazırlığının 60 kreditlik universitet proqramının nailiyyətlə başa çatdırılmasıdır. Bu halda, təcrübəçi müəllim birbaşa baş müəllim olur, çünki hesab edilir ki, bu kursu başa vurduqdan sonra o, hər iki istiqamətdə - həm fənn, eləcə də peşəkarlıq istiqamətində bilgilərini təsdiq etmişdir.

**– Təcrübəçi müəllimlər hansı əlavə fəallıqları həyata keçirməlidir və hər bir fəallığın müvafiq kredit balı necə müəyyən edilir?**

– Təcrübəçi müəllimin əlavə fəallıqları iki əsas istiqamətə bölünmüşlər: **fənn və ümumi peşəkarlıq istiqamətlərinə.** Fənn istiqaməti ilə müəllim fənn və fənn üzrə metodika treninqləri kursunu keçə bilər. Bundan başqa, məktəb mədəniyyətinin artırılması və həmkarların qarşılıqlı əməkdaşlığının həvəsləndirilməsi məqsədilə, əlavə fəallığa **həmkarlarla işçi görüşlərin keçirilməsi** daxil edilmişdir. Təcrübəçi müəllim dedikdə, bu işçi görüşlərdə o, iştirakçı kimi nəzərdə tutulur. İşçi görüş strukturlaşdırılmış görüşlərin dövrü olacaqdır. Təcrübəçi müəllimin belə bir işçi görüşdə iştirak etdiyi və əlbəttə ki, müvafiq tapşırıqları (qiymətləndirməni keçdikdə və refleksiyanı yazdığında ki,onu təcrübədə necə tətbiq etmiş və sınaqdan keçirmişdir) yerinə yetirdiyi halda, bu fəallıq üçün 0,5 kredit bal qazanacaqdır.

Əlavə fəallıqlardır: **müsabiqələr, olimpiadalar və yarışmalar üçün şagirdlərin hazırlığı.** Məsələn, musiqi dəstəsi və ya alətlər ansamblının hazırlığı, eləcə də şagirdlərlə ifa müsabiqəsi üçün fərdi iş. İdman müəllimi də şahmat turniri üçün bir şagirdi fərdi olaraq hazırlaya bilər və ya idman dəstəsini hər hansı bir yarışmaya hazırlaya bilər və s. Bu tip fəallıq üçün müəllim 0,5 kredit bal alır. Bu halda, öz fəaliyyətini təsdiqləmək üçün şagird və ya şagirdlər qrupunun yarışmasında, müsabiqəsi və ya olimpiadasında iştirakın təsdiqlənməsi üçün sertifikat lazım olacaqdır. Halbuki şagirdlərin əldə etdikləri nəticələr müəllimin qiymətləndirməsinə təsir göstərməyəcəkdir.

Daha bir əlavə fəaliyyət **şagirdlərlə dərnək işidir,** bu da məktəbdə sinifdənxaric fəaliyyətə dəstək verir. Milli Tədris Planı, ümumilikdə, sinifdənxaric fəaliyyətləri nəzərə alır, indi isə bu növ fəaliyyət müəllimin kredit balı kimi tanınır. Dərnək işi üçün müəllim 0,5 kredit bal əldə edəcəkdir.

Əlavə fəallıqların siyahısına **informasiya-kommunikasiya texnologiyalarının (İKT) efektiv istifadə komponenti** əlavə edilmişdir, çünki düşünürük ki, 21-ci əsr məktəbində dərs prosesinin tamdəyərli aparılması müasir texnologiyaların istifadəsi xaricində təsəvvür edilmir. Dərs prosesində İKT-nin effektiv istifadəsi üçün müəllimlər 0,5 kredit balı əldə edəcəklər.

Əlbəttə ki, bu və başqa qalan fəallığı qiymətləndirmək üçün müəllimin qiymətləndirilməsi qrupunun əlində müvafiq qiymətləndirmə vasitələri olacaqdır. Bu mərhələdə təcrübəçi müəllimin qiymətləndirmə qrupuna üzvlük hüququ vardır, çünki bir çox məktəbdə kifayət sayda baş və aparıcı müəllimlər yoxdurlar. Bunun üçün də fənn istiqamətində əlavə fəallıq kimi fənn kafedrasından seçilmiş müəllimin qiymətləndirmə qrupuna üzvlüyü göstərilir və 1 kredit bal əlavə edilir.

Peşəkar istiqamətə gəldikdə, burada da əlbəttə ki, kredit balları gətirən fəallıq kimi, treninqləri nailiyyətlə keçmək lazımdır .

Eləcə də, sinifdənxaric iş kimi, **klub işi** çox maraqlıdır. Klub məktəbin bazasında formalaşa bilər, eləcə də hər hansı bir qeyri-hökumət, beynəlxalq təşkilatın layihəsi ola bilər ki, buna da məktəblər cəlb oluna bilərlər. Klub işi çox uzunmüddətli, həcmli və çoxölçülü fəaliyyəti nəzərdə tutur və buna görə də klubun kurator müəlliminə il ərzində apardığı iş üçün 1 kredit bal veriləcəkdir.

Müəllimin əlavə fəaliyyətində **xüsusi təhsilə ehtiyacı olan şagirdlərlə iş** də əks olunacaqdır. Sinifdə xüsusi təhsilə ehtiyacı olan şagird və ya şagirdləri olan müəllim onlarla iş zamanı müvafiq metodologiyadan necə istifadə etdiyinə, hansı növ iş gördüyünə, sinifdə neçə və hansı spektrdə şagirdlərinin olduğuna əsasən qiymətləndirilir. Müəllim məktəbin qiymətləndirmə qrupu tərəfindən, müvafiq kriterilərə (o cümlədən valideynin anketinə) əsasən qiymətləndirilir və ola bilsin ki, dərs ili ərzində bu növ fəallıq üçün 1 və ya 2 kredit bal qazana bilsin.

Sxemdə eləcə də **sosial layihələr** həvəsləndirilirlər. Bu, həqiqətən də mühüm bir fəallıqdır, çünki klub işi və sosial layihələr şagirdlərin sosiallaşdırılmasının, onların vətəndaş anlayışlarının artırılması və sonda, cəmiyyətin həqiqi üzvü kimi formalaşması prosesinə çox dəstək verir. Sosial layihələrin planlaşdırılması və aparılması üçün müəllim 0,5 kredit balla qiymətləndirilir.

Təcrübəçi müəllim **fasilitatorluqla** da kredit-balları əldə edə bilər. Fasilitator işi olduqca zəhmət tələb edən və həcmli bir işdir, buna görə də bu fəaliyyət üçün nəzərdə tutulmuş kredit balların əhəmiyyəti artmış və dərs ili ərzində 3 kredit balla müəyyən edilmişdir.

**– Sxemdə qeyri-gürcüdilli müəllimlər üçün əlavə fəallıq kimi dövlət dili kursunu keçmək göstərilmişdir**

– Qeyri-gürcüdilli məktəb müəllimləri tərəfindən dövlət dili kursunu keçdikləri və dili bilmək səviyyəsi sertifikatını əldə etdikləri halda, hər bir səviyyəni əldə etməklərinə görə, 2 kredit bal qazanırlar. Bu, qeyri-gürcüdilli müəllimlərə dövlət dilini öyrənmək üçün bir növ həvəsləndirici fəallıq olacaqdır. Dilbilməni təsdiqləyən sənədi bu kursları keçirən təşkilat verəcəkdir. Məsələn, peşəkar inkişaf proqramı çərçivəsində Mərkəzin konsultant-müəllimləri qeyri-gürcüdilli müəllimlərə dil kurslarını keçirdilər və müvafiq olaraq, bu da onlara kreditləri qazanmaq imkanını verirdi. İndi isə oxşar dil kurslarını müəllimlərə Jvaniya adına mərkəz keçirir və dediyimiz kimi, bu kurslar onlara kreditlər qazandıracaqdır. Kimsə fikirləşə bilər ki, dil kursları nəyə lazımdır? Axı nə peşəkarlıq bacarıqları və nə də ki, fənn bilgisi deyil. Təəssüflər olsun ki, müəllimlərin dil bilgiləri ilə bağlı baryerləri var idi və buna görə də müxtəlif peşəkarlıq fəallıqlarına qatıla bilmir – treninqlərdə iştirak edə bilmirdilər (nə də ki, ana dilində treninqləri təklif edə bilmirik). Müvafiq olaraq, məhz bu baryeri keçmək üçün gürcü dilinin öyrənilməsini həvəsləndiririk. Bundan başqa, dövlət dilinin tədrisi onların əlavə fəallıqlarından biri kimi hesab ediləcək və kredit balla qiymətləndiriləcəkdir. Amma bu, sxemə cəlb olunmaq üçün icbari fəallıq deyil. Buna baxmayaraq, onlar üçün çox önəmli olduğunu düşünürük, çünki dövlət dilinə malik olmaq qarşılarındakı sədləri uçuracaq və qeyri-gürcüdilli müəllimlərə peşəkar inkişafın daha çox imkanını verəcəkdir ki, müxtəlif tədbirlərdə iştirak etsinlər və onlara cəlb olunsunlar, dili bilməmək isə onları qeyri-bərabər vəziyyətdə qoyurdu.

**Hazırladı: Lali Celadze**
**Tərcümə edən: Qızxanım Əhmədova**

პროფესიული განათლება

# მიხეილ ჩხენკელი კერძო პროფესიული კოლეჯების დირექტორებს შეხვდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, მიხეილ ჩხენკელი კერძო პროფესიული კოლეჯების დირექტორებს შეხვდა. შეხვედრის მთავარი თემა იყო კერძო კოლეჯებთან პარტნიორობის გაძლიერება და მათი აქტიური ჩართვა პროფესიული განათლების რეფორმის მიმდინარეობის პროცესში.

შეხვედრის დროს განიხილეს პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონპროექტის ძირითადი მიმართულებები და პროფესიული განათლების დაფინანსების საკითხები, ასევე საუბარი შეეხო კერძო კოლეჯების ასოციაციის როლს პროფესიული განათლების პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში.

შეხვედრის ბოლოს, ასოციაციის წარმომადგენლებმა გამოხატეს მზაობა სამინისტროსთან ერთად, აქტიურად ჩაერთონ პროფესიული განათლების სისტემების განვითარების პროცესში და ხელი შეუწყონ პროფესიული განათლების ხარისხის ზრდას.



პროფესიული განვითარება

# Գործող ուսուցչի կարիերային առաջընթացի ուղին

*Ուսուցչի գործունեություն սկսելու, մասնագիտական զարգացման և կարիերային առաջընթացի սխեմայում անցած տարի իրականացված փոփոխությունների համաձայն, փոխվել են գործող ուսուցչի մասնագիտական զարգացման և կարիերային առաջընթացի ուղիները: Սխեման այլևս չի ներառում կարիերայի ընդհատման և դադարեցման մաս, և ուսուցիչներին առաջընթացի համար այլընտրանքային ուղիներ է առաջարկում: Գործող ուսուցիչների համար սահմանված ժամկետները վերացվել են, փոխարենը նրանք պետք է թեստավորման միջոցով հավաստեն իրենց իրավասությունները մասնագիտական կարողություններից (այժմ քննությունը թեստավորում է կոչվում): Գործող ուսուցիչը մի քանի ուղի ունի կարիերային առաջընթացի համար, այսինքն՝ պետությունն առաջարկում է այլընտրանքային ուղիներ: Բացի այդ, ուսուցչին հնարավորություն է տրվել լրացուցիչ գործունեություններով կուտակել կրեդիտ-միավորներ:*

*Սխեման նպատակ է նախանշում, որ բոլոր ուսուցիչներն ունենան մասնագիտական զարգացման և կարիերային առաջընթացի հավասար հնարավորություններ, այդ թվում, իհարկե, ոչ վրացալեզու դպրոցների և բաժինների ուսուցիչները: Ոչ վրացալեզու բաժնում 7744 ուսուցիչ է հաշվառվում, այդ թվում 7-ը առաջատար, 559-ը ավագ, իսկ 6901-ը գործող ուսուցիչներ են, ոչ մի մենտոր չկա: Քանի որ մեծամասնությունը գործող ուսուցիչներ են, դրանից ելնելով, ոչ վրացալեզու ուսուցիչների համար հարցազրույց ենք պատրաստել Ուսուցիչների մասնագիտական զարգացման կենտրոնի Շարունակական մասնագիտական կրթության և կարիերային առաջընթացի ծրագրի ղեկավարի՝* ***Իրինա Սամսոնիայի*** *հետ, ով մանրամասնորեն կնկարագրի, թե Սխեման կարիերային առաջընթացի համար ինչ այլընտրանքային ուղիներ է առաջարկում ուսուցիչներին, ինչպես է ավելացել լրացուցիչ գործունեությունների (ակտիվությունների) բաժնեմասը, ինչպես կկատարվի կրեդիտ-միավորների կուտակումը և լրացուցիչ ինչ հնարավորություններ են առաջացել նրանց համար:*

**– Նկարագրե՛ք այն ուղիները, որ կարիերային առաջընթացի համար Սխեման առաջարկում է գործող ուսուցիչներին:**

– Պարտադիր գործունեություններով (ակտիվություններով) կրեդիտ-միավորների կուտակումը գործող ուսուցիչների համար, իհարկե, ուղիներից մեկն է: Այս դեպքում նա երկու անգամ դասի ներքին դիտարկում պետք է անցնի, և այս ճանապարհով 4 կրեդիտ կուտակի: Առարկայական և մասնագիտական իրավասությունների հավաստման համար նրան ընդհանուր առմամբ անհրաժեշտ է 15 կրեդիտ-միավոր կուտակել: Այն դեպքում, եթե ուսուցիչը առարկայական և մասնագիտական իրավասությունների հավաստման համար թեստավորում անցնելու արդյունքում չի կարողանա այդ 15 կրեդիտ-միավորը կուտակել, անհրաժեշտ կրեդիտ-միավորներն այլ ակտիվություններով կլրացնի: Ավելի ճշգրիտ որ ասեմ, 19 պարտադիր կրեդիտից 15-ը, որ հատկացված է առարկայական և մասնագիտական իրավասությունների հավաստման համար, ուսուցիչը կարող է կուտակել ինչպես միայն թեստավորման միջոցով, այնպես էլ համակցված՝ համապատասխան ուղղություններից տարբեր ակտիվությունների իրականացման միջոցով: Դրա համար գործող ուսուցչին առաջարկում ենք լրացուցիչ ակտիվությունների ցանկ:

Գործող ուսուցչին ավագ ուսուցչի աստիճանի անցնելու համար իր համար հատկացված կարիերային առաջընթացի երեք ուղիներից ցանկալին ընտրելու հնարավորություն է տրվել, սակայն, անփոփոխ է մնացել պայմանը՝ 19 կրեդիտ-միավոր կուտակելու անհրաժեշտության մասին:

**Առաջին ուղին. դասի ներքին դիտարկում՝ 4 կրեդիտ-միավոր, առարկայական և մասնագիտական իրավասությունների հավաստում՝ 0-ից 15 միավոր:**

Եթե գործող ուսուցիչը հանձնել է որևէ քննություն, այսինքն՝ հավաստել է առարկայի կամ մասնագիտական կարողությունների իրավասությունը, նա այլևս քննություն չի հանձնելու. իրավասությունը, երկու ուղղություններով, նա միայն մեկ անգամ է հավաստում: Եթե ոչ մեկը չի հավաստել, այդ դեպքում երկուսն էլ պետք է հավաստի:

Թեստավորման ճանապարհով կուտակած կրեդիտ-միավորների համաձայն, ուսուցիչն ինքն է պլանավորում, թե հետագայում ինչ ակտիվություններ է կատարելու կրեդիտները լրացնելու համար: Եթե ուսուցիչը քննությանը զրո միավոր է ստացել, նորից է հանձնելու քննությունը, քանի որ, ինչպես ասացինք, թեստավորման միջոցով իրավասության հավաստումը պարտադիր է:

Նշենք նաև, թե ինչպես է տեղի ունենում ստացած միավորների փոխադրումը կրեդիտ-միավորների. եթե ուսուցիչը առարկայական և մասնագիտական իրավասությունների հավաստման ժամանակ հավաքի միավորների 61%-ը, նրան կշնորհվի առավելագույն 10 կրեդիտ-միավոր, 51-ից մինչև 61%-ը՝ 7 կրեդիտ-միավոր, 41-ից մինչև 51%-ը՝ 4 կրեդիտ-միավոր, իսկ 31-ից մինչև 41%-ը՝ 1 կրեդիտ-միավոր: Ստորին շեմը սահմանվում է 30 միավորով, ինչը նշանակում է, որ ուսուցիչը, որը թեստավորման արդյունքում կկուտակի 30 միավորից պակաս, չի կարողանա ստանալ կրեդիտ-միավոր:

**Երկրորդ ուղին. առարկայական և մասնագիտական իրավասությունների հավաստման ժամանակ յուրաքանչյուրից հավաքի 10 կրեդիտ-միավոր:**

Եթե ուսուցիչը բավական միավորներ է հավաքել առարկայական և մասնագիտական իրավասությունների հավաստման ճանապարհով, այսինքն ընդհանուր առմամբ 15 կրեդիտ- միավոր է ստացել, այդ դեպքում առանց ներքին դիտարկում անցնելու նրան կշնորհիվի ավագ ուսուցչի կարգավիճակ: Գործող ուսուցիչը երկու ուղղություններից իրավասությունների հավաստման համար թեստավորում է անցնում, որը կազմակերպում է Գնահատման և քննությունների ազգային կենտրոնը: Միայն դրանից հետո, ըստ նրա, թե քանի միավոր կկուտակի յուրաքանչյուր ուղղությունից, ուսուցիչը կպլանավորի իր գործունեությունը կարիերային առաջընթացի համար:

**Երրորդ ուղին. դոկտորի աստիճան կամ ուսուցչի պատրաստման կրթական ծրագիր անցնելը հաստատող հավաստագիր:**

Գործող ուսուցչին, որը դոկտորի կամ նրա հետ հավասարեցված ակադեմիական աստիճան ձեռք կբերի կրթական գիտությունների ուղղությամբ կամ այն առարկայից, որը դասավանդում է, անմիջապես շնորհվում է ավագ ուսուցչի կարգավիճակ:

Եվս մեկ ուղի է ուսուցչի պատրաստման 60-կրեդիտանոց համալսարանական ծրագրի հաջող ավարտելը: Ավարտելով նշված ծրագիրը՝ գործող ուսուցիչն անմիջապես դառնում է ավագ ուսուցիչ, քանի որ համարվում է, որ նա այս դասընթացն անցնելուց հետո հավաստել է իր իրավասությունները երկու ուղղություններից՝ և՛ առարկայական, և՛ մասնագիտական:

**– Ի՞նչ լրացուցիչ գործունեություններ պետք է իրականացնեն գործող ուսուցիչները և ինչպես է սահմանվել յուրաքանչյուր գործունեության համապատասխան կրեդիտ-միավորը:**

– Գործող ուսուցչի լրացուցիչ գործունեությունները երկու հիմնական ուղղությունների են բաժանված. **առարկայական և ընդհանուր մասնագիտական ուղղություններ**: Առարկայական ուղղությամբ ուսուցիչը կարող է անցնել առարկայի և առարկայի մեթոդիկայի թրեյնինգների դասընթաց:

Բացի այդ, անչափ կարևոր է, որ դպրոցի մշակույթի մակարդակի բարձրացման և գործընկերների փոխհամագործակցության խթանման նպատակով որպես լրացուցիչ գործունեություն ներմուծվել է **գործընկերների հետ աշխատանքային հանդիպումների անցկացումը:** Գործող ուսուցիչը ենթադրված է որպես այս աշխատանքային հանդիպման մասնակից: Դա կլինի կառուցքավորված հանդիպումների շարք: Եթե գործող ուսուցիչը մասնակցի նման երեք աշխատանքային հանդիպման և, իհարկե, կատարի համապատասխան առաջադրանքներ (անցնի գնահատում, գրի ռեֆլեքսիա, թե ինչպես է ներդրել կամ փորձել է այն կիրառել գործնականում), այս ակտիվության համար կստանա 0,5 կրեդիտ-միավոր:

Լրացուցիչ ակտիվություններ են **մրցույթների, օլիմպիադաների և մրցումների համար աշակերտներին պատրաստելը:** Օրինակ, երաժշտական խումբ կամ գործիքային համույթ պատրաստել, ինչպես նաև կատարողական մրցույթների համար անհատական աշխատանք կատարել աշակերտների հետ: Սպորտի ուսուցիչը կարող է շախմատի մրցաշարի համար մեկ աշակերտի անհատապես պատրաստել, կամ մարզական թիմ պատրաստել որևէ մրցման համար և այլն: Այս տիպի ակտիվության համար ուսուցիչը ստանում է 0,5 կրեդիտ-միավոր: Այս դեպքում, իր գործունեությունը հավաստելու համար ուսուցչին անհրաժեշտ կլինի մրցմանը կամ օլիմպիադային աշակերտի կամ աշակերտների խմբի մասնակցելը հաստատող հավաստագիր ներկայացնել: Սակայն, աշակերտների կողմից ձեռքբերված արդյունքները չեն ազդի ուսուցչի գնահատման վրա:

Եվս մեկ լրացուցիչ գործունեություն է **խմբակային աշխատանքը աշակերտների հետ,** ինչը նպաստում է դպրոցում արտադասարանական գործունեությանը: Ազգային ուսումնական պլանը ընդհանրապես նախատեսում է արտադասարանական գործունեություններ, իսկ այժմ նման տիպի գործունեությունը ուսուցչի համար ճանաչվում է որպես կրեդիտ-միավոր: Խմբակային աշխատանքի համար ուսուցիչը ստանում է 0,5 կրեդիտ-միավոր:

Լրացուցիչ ակտիվությունների ցանկին ավելացել է **տեղեկատվական և հաղորդակցական տեխնոլոգիաների (ՏՀՏ) արդյունավետ կիրառման բաղադրիչը,** քանի որ, կարծում ենք, որ 21-րդ դարի դպրոցում ուսումնական գործընթացի լիարժեք վարումը չի կարելի պատկերացնել առանց ժամանակակից տեխնոլոգիաների կիրառման: Ուսումնական գործընթացում ՏՀՏ-ի արդյունավետ կիրառման համար ուսուցիչները կստանան 0,5 կրեդիտ-միավոր:

Անկասկած, այս և բոլոր մնացած գործունեությունների գնահատման համար ուսուցչի գնահատման խումբը ձեռքի տակ կունենա համապատասխան գնահատման գործիքներ: Այս փուլում գործող ուսուցիչներն ունեն **գնահատման խմբի անդամ լինելու իրավունք,** քանի որ շատ դպրոցներում չկան բավական քանակությամբ ավագ կամ առաջատար ուսուցիչներ: Այդ պատճառով առարկայական ուղղությունից, որպես մեկ լրացուցիչ գործունեություն, արտացոլվել է առարկայական ամբիոնից ընտրված ուսուցչի գնահատման խմբի անդամ լինելը, ինչի համար նա կստանա 1 կրեդիտ-միավոր:

Ինչ վերաբերում է մասնագիտական ուղղությանը, այստեղ ևս, ինչ խոսք, թրեյնինգները հաջող անցնելը մնում է, որպես կրեդիտ-միավորներ բերող ակտիվություն՝ գործունեություն:

Շատ հետաքրքիր նորություն է **ակումբային աշխատանքը,** որպես արտադասարանական գործունեություն: Ակումբը կարող է ձևավորվել դպրոցի հենքի վրա, ինչպես նաև, լինել որևէ հասարակական կամ միջազգային կազմակերպության նախագիծ, որում կարող են ընդգրկված լինել նաև այլ դպրոցներ: Ակումբային աշխատանքը բավականին երկարատև, ընդգրկուն և բազմաչափ գործունեություն է ենթադրում, և այդ պատճառով ակումբի կուրատոր ուսուցչին տարվա ընթացքում կատարած աշխատանքի համար շնորհվում է 1 կրեդիտ-միավոր:

Ուսուցչի լրացուցիչ գործունեությունների մեջ արտացոլվել է նաև **հատուկ կրթական կարիք ունեցող աշակերտի հետ աշխատանքը:** Այն ուսուցիչը, որը դասարանում ունի հատուկ կրթական կարիքներ ունեցող աշակերտ կամ աշակերտներ, կգնահատվի համաձայն նրա, թե նրանց հետ աշխատելիս ինչպես է կիրառում համապատասխան մեթոդաբանությունը, ինչ տիպի աշխատանք է վարում, որքան և ինչ սպեկտրի աշակերտ ունի դասարանում: Ուսուցիչը կգնահատվի դպրոցի գնահատման խմբի կողմից, ըստ համապատասխան չափանիշների (այդ թվում կա նաև ծնողի հարցաշար), և հնարավոր է ուսումնական տարվա ընթացքում նման տիպի գործունեության համար ստանա 1 կամ 2 կրեդիտ-միավոր:

Սխեմայում խրախուսված են նաև **սոցիալական նախագծերը,** սա իսկապես կարևոր գործունեություն է, քանի որ ակումբային աշխատանքը և սոցիալական նախագծերը մեծապես նպաստում են աշակերտների սոցիալականացման, նրանց քաղաքացիական իրազեկվածության բարձրացման և, ի վերջո, հասարակության իսկական անդամներ ձևավորվելու գործընթացին: Սոցիալական ծրագրեր պլանավորելու և անցկացնելու համար ուսուցիչը կգնահատվի 0,5 կրեդիտ-միավորով:

Գործող ուսուցիչը կարող է կրեդիտ-միավորներ ձեռք բերել նաև ֆասիլիտատորությամբ: Ֆասիլիտատորի գործունեությունը բավականին աշխատատար և ծավալուն է, ուստի այս գործունեության համար հատկացված կրեդիտ-միավորը նշանակալիորեն ավելացել է և սահմանվել ուսումնական տարվա ընթացքում 3 կրեդիտ-միավորով:

**– Սխեմայում ոչ վրացալեզու ուսուցիչների համար որպես լրացուցիչ ակտիվություն սահմանվել է պետական լեզվի դասընթաց անցնելը:**

– Եթե ոչ վրացալեզու դպրոցների ուսուցիչներն անցնեն պետական լեզվի դասընթաց և ստանան լեզվի տիրապետման մակարդակի հավաստագիր, յուրաքանչյուր մակարդակի տիրապետման համար նրանց կշնորհիվի 2 կրեդիտ-միավոր: Ամեն ինչի հետ մեկտեղ դա խրախուսող ակտիվություն կլինի ոչ վրացալեզու ուսուցիչների համար՝ սովորելու պետական լեզուն:

Լեզվի տիրապետումը հավաստող փաստաթուղթը հատկացնում է այն կազմակերպությունը, որն անցկացնում է այդ դասընթացը: Օրինակ, Ուսուցիչների մասնագիտական զարգացման կենտրոնի ծրագրի շրջանակներում, կենտրոնի խորհրդատու-ուսուցիչներն անցկացնում են լեզվի դասընթացներ, համապատասխանաբար, դա նրանց տալիս է կրեդիտ-միավորներ ձեռք բերելու հնարավորություն: Իսկ այժմ Ժվանիայի անվան դպրոցն է անցկացնում լեզվի ուսուցման նման դասընթացներ ուսուցիչների համար, որն անցնելը, ինչպես նշեցինք, նրանց կրեդիտ-միավորներ է բերում: Գուցե ոմանք մտածեն, թե ինչ անհրաժեշտ են լեզվի դասընթացները, չէ՞ որ դա ոչ մասնագիտական ունակություն է, ոչ էլ առարկայական իրավասություն: Ցավոք, ուսուցիչներն ունեին արգելք՝ կապված լեզվական իրավասության հետ, այդ պատճառով չէին կարողանում ընդգրկվել տարբեր մասնագիտական գործունեությունների՝ ներկա գտնվել թրեյնինգների (ոչ էլ մայրենի լեզվով կարող ենք առաջարկել): Համապատասխանաբար, որպեսզի հաղթահարեինք այդ արգելքը, խրախուսեցինք վրաց լեզվի ուսուցումը: Բացի այդ, պետական լեզվի դասընթացն անցնելը նրանց համար կհամարվի որպես լրացուցիչ ակտիվություններից մեկը և կգնահատվի կրեդիտ-միավորով: Սակայն, Սխեմայում ընդգրկվելու համար սա պարտադիր ակտիվություն չէ: Չնայած դրան, կարծում ենք, որ այն անչափ կարևոր է ուսուցիչների համար, քանի որ պետական լեզվի իմացությունը կհանի խոչընդոտը և ոչ վրացալեզու ուսուցիչներին մասնագիտական զարգացման ավել հնարավորություն կտա՝ ներկա գտնվելու և ընդգրկվելու տարբեր միջոցառումների մեջ, իսկ լեզուն չիմանալը նրանց անհավասար պայմանների մեջ էր դնում:

**Պատրաստել է Լալի Ջելաձեն**

**Թարգմանությունը՝ Զոյա Միխիթարյանի**

სამოდელო გაკვეთილი

# საინფორმაციო ტექსტზე მუშაობა

| | |
|---|---|
| საგანი | ქართული ენა და ლიტერატურა |
| მასწავლებელი | მარეხ ლიკლიკაძე |
| თემა | კოდალა |
| კლასი/მოსწავლე | V კლასი/11 მოსწავლე |
| დრო | 45 წუთი |
| გაკვეთილის ამოცანები | • დაამუშავებენ საინფორმაციო ტექსტს – კოდალა.<br>• გამოიყენებენ საინფორმაციო ტექსტის წაკითხვისა და გააზრების სტრატეგიებს (გონებრივი იერიში, მოდიფიცირებული ტექსტის წაკითხვა-გააზრება, კითხვაზე პასუხის გაცემა და სხვ.).<br>• წერილობით წარმოადგენენ საინფორმაციო ტექსტის მხატვრულად გადაქცეულ ვერსიას. |
| ესგ-ს სტანდარტი | • ქართ.V.2. მოსწავლეს შეუძლია ჯგუფური და ინდივიდუალური საკომუნიკაციო ამოცანების განხორციელება.<br>• ქართ.V.8. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ტექსტების წაკითხვა და ადეკვატურად გაგება-გააზრება.<br>• ქართ. V.13. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის ტექსტების დამოუკიდებლად შექმნა. |
| მოსწავლეთა ორგანიზების ფორმა | • მასწავლებელი მუშაობს მთელ კლასთან.<br>• მოსწავლეები მუშაობენ ინდივიდუალურად.<br>• მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში. |
| გაკვეთილზე გამოყენებული ძირითადი მეთოდები და აქტივობები | • გამოცანების გამოცნობა<br>• გონებრივი იერიში<br>• სიტყვის პირამიდა<br>• ხუთი კითხვა<br>• კროსვორდის შევსება<br>• მხატვრული ტექსტის შექმნა<br>• საინფორმაციო დაფის შექმნა კოდალაზე |
| სასწავლო მასალა და რესურსები | 1. ტექსტი „კოდალა" – საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-pried)<br>2. გრაფიკული სქემა/ცხრილი „სიტყვის პირამიდა"<br>3. 5 კითხვა<br>4. კროსვორდი<br>5. შავ-თეთრი სურათების გაფერადება<br>6. დაფა, ცარცი, ფერადი ფურცლები, კალმები, მარკერები, თაბახის ფურცლები, სტეპლერი |
| გაკვეთილის მსვლელობა. I ფაზა. წაკითხვისთვის შემზადება. სწრაფი მიმოხილვა შეკითხვების გამოყენებით | 1. მასწავლებელი კლასს ჰყოფს სამ ჯგუფად და აძლევს გამოცანების ბარათს, რათა გამოიცნონ რა იმალება გამოცანის უკან (იხ. დანართი 1) – **2წთ.**<br>2. გონებრივი იერიშით იხსენებენ, რა იციან კოდალას შესახებ (იხ. დანართი 2) – **3წთ.**<br>3. ურიგდებათ ასევე სიტყვის პირამიდა – „მერქანი", „ფუსფუსი" და „მომცრო". ავსებენ და აკეთებენ პრეზენტაციას. (იხ.დანართი 3) – **3წთ.** |
| II ფაზა. კითხვა და ტექსტთან მუშაობა | 1. მოსწავლეებს ურიგდებათ მოდიფიცირებული ტექსტი ინდივიდუალურად და ეცნობიან მას (იხ.დანართი 4) – **6წთ.**<br>2. ასრულყოფილებენ სიტყვის პირამიდას და აკეთებენ პრეზენტაციას. (იხ.დანართი 3) – **2 წთ.**<br>3. მასწავლებელი დაფაზე აკრავს სქემას „5 კითხვა" და მთელ კლასთან ერთად ავსებს და აერთიანებენ ტექსტს (იხ. დანართი 5) – **5წთ.**<br>4. დაფაზე გამოკრულ კროსვორდს მოსწავლეები, რიგ-რიგობით, ავსებენ ბოლომდე (მასწავლებელი მათ იძახებს ჩხირების მეშვეობით). (იხ.დანართი 6) – **6წთ.**<br>5. გონებრივი იერიშით დაფაზე ჩამოწერენ, რა გაიგეს კოდალას შესახებ ტექსტებიდან – **3წთ.** |
| III ფაზა. გამთლიანება-გამტკიცება წაკითხვის შემდეგ | 1. საინფორმაციო ტექსტზე მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები ინდივიდუალურად წერენ ამბავს კოდალაზე (ქმნიან თხრობით ტექსტს) – **7წთ.**<br>2. პარალელურად ორი მოსწავლე აფერადებს კოდალას ფოტოებს (იხ. დანართი 7-8).<br>3. რამდენიმე მოსწავლე აუდიტორიას ხმამაღლა წაუკითხავს შექმნილ ტექსტს – **5წთ.** |
| საშინაო დავალება | მიღებული ინფორმაციითა და შექმნილი მხატვრული ტექსტების მიხედვით, შექმნიან საინფორმაციო დაფას კოდალაზე – **1წთ.** |
| შეფასება | • მოსწავლეები შეფასდებიან ჩართულობითა და აქტიურობით.<br>• შემოქმედებითი წერის უნარით.<br>• კოგნიტურ სქემებზე დამოუკიდებელი მუშაობით.<br>• თანამშრომლობის უნარით. დრო– **2წთ.** |

დანართი 1

კაკი, კუკი – აკაკუნებს,
ტყეში პატარა ურო,
ხეს გულიც კი გამოთხარა,
გაუკეთა ფუღურო.

ტყეში ხეს კოდავს,
ჰოდა, მას
მიტო ვეძახით
კო....ს

შინ ჭია-მატლი თუ არი,
მას უკაკუნებს სტუმარი

დანართი 2

გონებრივი იერიში




დანართი 3

სიტყვის პირამიდა




დანართი 4

### კოდალა – ტყის ექიმი

კოდალები ხეებს მავნე მწერებისაგან ათავისუფლებენ. მაშინაც კი, როცა გამხმარ ხეზე აკაკუნებს, კოდალა სასარგებლო საქმეს აკეთებს. ის ანადგურებს მავნე მწერებს, რომ სხვა ჯანმრთელ ხეებზე არ გადავიდნენ. ჯერ ნისკარტით, შემდეგ კი წებოვანი ენით მერქანში ღრმად აღწევენ და მწერები გარეთ გამოჰყავთ. ადრე ფიქრობდნენ, რომ კოდალები ასეთი მოქმედებით ხეებს აზიანებდნენ, მაგრამ შემდეგ მიხვდნენ, რომ კოდალა ფუღუროს მხოლოდ გამხმარ ხეზე აკეთებს.

ხეების გარდა კოდალები ეხმარებიან იმ პატარა ჩიტებსაც, რომლებმაც ბუდეების გაკეთება ვერ მოახერხეს. კოდალები ყოველ წელს ახალ ფუღუროს იკეთებენ, ძველში კი ეს უსახლკარო ჩიტები იდებენ ბინას. რომ არა კოდალები, ეს პატარა ჩიტები ზამთარს ვერ გადაიტანდნენ და სიცივისაგან დაიხოცებოდნენ.

იმ დიდი საქმის მიუხედავად, რასაც კოდალები ტყისთვის აკეთებენ, ტანად მომცროები არიან. ყველაზე დიდი კოდალა 600 გრამს იწონის, ყველაზე პატარა კი სულ რაღაც 100 გრამია. ისინი იცავენ მათ მავნე მწერებისაგან, ზრუნავენ ხეების სიცოცხლეზე, რათა ჩვენ სუფთა ჰაერი ვისუნთქოთ.

### როგორ მუშაობენ კოდალები?

მარტის თვიდან, როდესაც გაზაფხული იწყება, კოდალები იწყებენ მხიარულ ფუსფუსს.

კაკ-კუკ, კაკ-კუკ! – ძალიან შორსაც კი ისმის მათი კაკუნის ხმა. ამ კაკუნს კი ხანდახან კოდალას სიმღერასაც ეძახიან. „საგაზაფხულო სიმღერით" მამალი კოდალა დედალ კოდალას თავს აწონებს – ნახე, რა მარჯვე ვარო. სხვებს კი აფრთხილებს, ეს ჩემი ადგილია და აქ მოსვლა არავინ გაბედოთო.

კოდალებს პატარა ფეხები აქვთ, მაგრამ მოხერხებულები არიან და სწრაფად დაძვრებიან ხეებზე. ისინი კუდს საყრდენად იყენებენ, რის გამოც უცვდებათ და უპატარავდებათ.

კოდალა 3-7 პრიალა კვერცხს დებს და ბარტყებზე დედალიც და მამალიც ერთნაირად ზრუნავს. ერთი თვის შემდეგ კი ბარტყები დამოუკიდებლად იწყებენ ცხოვრებას.

### სად ბინადრობენ და რით იკვებებიან კოდალები?

კოდალები ბინადრობენ როგორც ტყეებში, ასევე ქალაქებსა და სოფლებში. ხანდახან ისინი ადამიანების მიერ გარეთ დატოვებული საკვებით იტკბარუნებენ პირს. ისიც კი უნახავთ, როგორ ჩაუხვრეტიათ ნისკარტით ცნობისმოყვარე კოდალებს რძის კოლოფები: აბა, ერთი ვნახოთ, შიგნით რა არისო.

ტყეში კოდალები, გაზაფხულსა და ზაფხულში მავნე მწერებით – ჭიანჭველებით, მატლებით, ჭიებით – იკვებებიან. შემოდგომასა და ზამთარში კენკრას, ნაძვისა და ფიჭვის თესლს ჭამენ. ზოგიერთ კოდალას ძალიან უყვარს რკო. ზაფხულის განმავლობაში, დაახლოებით, 50 000 რკოს ინახავენ. ასეთი ჯიშის კოდალებს „რკოჭამია" კოდალებს ეძახიან.

იმ ხეების ქვეშ, რომლებზედაც კოდალები ბინადრობენ, ზამთარში გირჩების გროვა ჩნდება. აბა, თუ გამოიცნობ რატომ? თურმე კოდალები გირჩებს მზესუმზირასავით არჩევენ და თესლს ამოკენკავენ, ცარიელ გირჩებს კი ძირს ყრიან.

კოდალებს მცენარეების წვენიც უყვართ. მაგალითად, გაზაფხულზე არყის ხის წვენს სვამენ. ისინი ფრთხილად აცლიან არყის ხეს მერქანს წვენის ამოსაღებად, რომ ხე არ დააზიანონ.

დანართი 5

| რა? | სად? | რით იკვებება? | როგორ მუშაობს? | რატომ ეძახიან მას „ტყის ექიმს"? |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

დანართი 6

კროსვორდი




1. კოდალას „სიმღერა"; 2. რკოჭამია კოდალას „სასუსნავი"; 3. რა უცვდება კოდალას? 4. კოდალას „მზესუმზირა"; 5. როგორია კოდალას კვერცხი? 6. კოდალას „წებო".



დანართ 7



დანართი 8

მარეხ ლიკლიკაძე
*სსიპ დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი*

გამოცდილება

# ინტეგრირებული ღონისძიება, როგორც ქცევის ალტერნატიული სტრატეგია კონფლიქტურ სიტუაციაში

## საკუთარი გამოცდილების მაგალითზე

სკოლა ის ადგილია, სადაც ხშირად იჩენს თავს ინტერპერსონალური კონფლიქტები. ეს გარდაუვალი ნაწილია ადამიანთა ინტერაქციის, ზრდისა და განვითარებისა, მაგრამ მოგვარებული კონფლიქტები შემდეგ განსაზღვრავს საზოგადოების დამოკიდებულებას სკოლის ღირებულებათა მიმართ.

კონფლიქტი და კონფლიქტური სიტუაციები ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. მართალია კონფლიქტი მასში მონაწილე მხარეებისთვის საკმაოდ უსიამოვნოა, მაგრამ ადამიანს შესწევს ძალა მათ სამართავად ან მოსაგვარებლად. კონფლიქტი ხომ უთანხმოებაა ინდივიდებს ან ჯგუფებს შორის.

პედაგოგებს მუდმივად უწევთ სხვადასხვა სახის კონფლიქტურ სიტუაციაში ჩარევა, თუმცა ადვილი არაა ეფექტური სტრატეგიების შერჩევა პრობლემის უმტკივნეულოდ მოსაგვარებლად. ამიტომ ყველა პედაგოგის მოვალეობაა, კარგად გააცნობიეროს მოსალოდნელი შედეგები, რისთვისაც ღრმად უნდა ჩასწვდეს სიტუაციის არსს და შეხედოს მრავალი კუთხით. ამავე დროს, საფუძვლიანად უნდა იცნობდეს კონფლიქტის სახეებს, რათა საწყის ეტაპზევე გაატაროს პრევენციული ღონისძიებები, რომ არ დაირღვეს წესრიგი, არ გამოიწვიოს მძაფრი ემოციები, სტრესები.

არც თუ იშვიათად შეინიშნება უფროსი ასაკის ბავშვების მხრიდან უმცროსი ასაკის ბავშვების მიმართ ბულინგის ნიშნები. ეს თემა მსჯელობის საგნად გავიხადეთ დაწყებითი კლასების კათედრის სხდომაზე. დავსახეთ ღონისძიებები. ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტეთ დაგვეგეგმა „დედაენის“ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელშიც ჩაერთვებოდნენ ჩვენი სადამრიგებლო (პირველი და მესამე) კლასების მოსწავლეები. მით უმეტეს, რომ მათ შორის ინტერესთა კონფლიქტის ცალკეული შემთხვევებიც შეინიშნებოდა.

გადაწყვეტილების მიღება იოლი არ იყო. ურთიერთობები მომავლისაკენ უნდა მიგვემართა. დავიწყეთ ფიქრი ხვალინდელ დღეზე. მოვიძიეთ მეთოდები, რომელთა რეკომენდაციასაც გვაძლევდნენ ფსიქოლოგები და ჩვენივე კოლეგები, რომლებთანაც ვთანამშრომლობდით. მნიშვნელოვანი იყო მათი მოძიება და შემდეგ კი განხორციელებისათვის ეფექტური სტრატეგიების პოვნა. მიზნის მისაღწევად უამრავი გზა უნდა გამოგვენახა და რამდენიმე ალტერნატივიდან მოგვესინჯა სასურველი, მიგვეგნო ახლისთვის, რომელიც სიტუაციას მოერგებოდა და ყოველდღიურ ცხოვრებაშიც სასიკეთოდ წაგვადგებოდა. ვიცოდით, რაც უფრო დიდია ცვლილება, მით დიდია ინტერესი მის მიმართ, მაგრამ რისკიც დიდია. ყველა მოსალოდნელი წინააღმდეგობა და შედეგი უნდა გაგვეთვალისწინებინა. საჭირო იყო სიტუაციის კოლეგებთან და დირექციასთან რამდენჯერმე აწონ-დაწონა, თავიდან გააზრება.

გავითვალისწინეთ, რომ თანამშრომლობა ყველაზე ეფექტური საშუალებაა შედეგის მისაღწევად, ისეთი გადაწყვეტილების ასარჩევად, რომელიც ორივე მხარისათვის მისაღები იქნება. ამისათვის საჭიროა შრომა, მოლაპარაკების წარმართვა, შემოქმედებითი მიდგომა და ახალი ალტერნატივების შესწავლა, რაც დიდ დროს მოითხოვს. ამიტომაც გადავწყვიტეთ, ერთობლივი გასვლითი ღონისძიება მოგვეწყო და პროექტის სახე მიგვეცა.

კიდევ ერთხელ დავუსვით ჩვენს თავს კითხვები:

1. რამდენად გავაკონტროლებთ სიტუაციას?
2. რამდენად ნათლად და მკაფიოდ გვაქვს წარმოდგენილი ექსპერიმენტი?
3. ვართ თუ არა მზად ფსიქოლოგიურად, თუკი ექსპერიმენტი იმ შედეგით არ დასრულდება, რისი მოლოდინიც გვაქვს და ის დამატებით დროს მოითხოვს?
4. მისაღები იქნება ჩვენთვის, თუ ორი კლასის ბავშვები, ღონისძიების დასრულების შემდეგ (დღის მეორე ნახევარში), გართობას ერთად არ მოისურვებენ?

კონკრეტულად და ნათლად აღწერილი მიზნები, პრობლემებთან შესაბამისობაში, გაზომვადი იყო ეროვნული სასწავლო გეგმის ჩარჩოებში. დეტალურად გავწერეთ აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობდა დასახული შედეგების მიღწევას, რეალისტური და განსხვავებული საჭიროებების მქონე მოსწავლეებზე გათვალისწინებული იყო მონიტორინგისა და შეფასების სტრატეგიები, წარმატების კრიტერიუმები.

გავთვალეთ მოსალოდნელი რისკები, ხარვეზები, ვისაუბრეთ მათი თავიდან აცილების გზებზე. შევიმუშავეთ გეგმა:

| | | |
|---|---|---|
| 1 | მისამართი | კაკაბეთის საჯარო სკოლა I-III კლასი, კლასების ხელ-ები: ნანული ბორაშვილი, ლუიზა შარიქაძე |
| 2 | პროექტის თემა განხორციელების ადგილი | „ჩვენი ენა ქართული“ მხატვრული ღონისძიება თბილისში, „ დედაენის“ ძეგლთან |
| 3 | პროექტის ორგანიზატორი | კლასის ხელმძღვანელები: ნანული ბორაშვილი, ლუიზა შარიქაძე; |
| 4 | მოსწავლეთა რაოდენობა პროექტის განხორციელების დრო | I კლ – 14 მოსწავლე, III კლ – 26 მოსწავლე 24.04.-03.05. 2017წ; |
| 5 | ინდივიდუალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა | ასეთი არ გვყავს |
| 6 | საბაზო უნარ-ჩვევები | იციან ჯგუფური მუშაობის წესები, აქვთ როლების განაწილების, პრეზენტაციის უნარი, გარკვეულწილად შეუძლიათ თანამშრომლობა, აქვთ ინტერპერსონალური უნარები |
| 7 | პროექტის მნიშვნელობა/ აქტუალობა | – მიზნების მისაღწევად კომპრომისზე მზადყოფნის დემონსტრირება; ეთიკური საკითხების საფუძვლიანი ცოდნა; ინტერპერსონალური, ეფექტური კომუნიკაციების უნარების განვითარება; სხვისი შრომის დაფასების, პატივისცემის უნარების გამომუშავება; ეროვნული ცნობიერების, ქართული მენტალობის ამაღლება; მშობლიური ენისადმი სიყვარულის გამომუშავება. |
| 8 | მიზნები და შედეგები | I.1. მონაწილეობს სიტუაციურ თამაშებში. ადეკვატურად ცვლის სამეტყველო როლებს.<br>I.4. მონაწილეობს ტექსტის ინსცენირებაში. ირჩევს როლის შესატყვის ინტონაციას და ჟესტ-მიმიკას.<br>I.9. სხვა მოსწავლეების მიერ შექმნილ ილუსტრაციებზე დაყრდნობით, ამოიცნობს ნაცნობ ნაწარმოებს.<br>III.2. ისმენს ლიტერატურულ ტექსტს, იგებს, გადმოსცემს შინაარსს სხვადასხვა ფორმით.<br>III.7. ლიტერატურული ტექსტის მიმართ გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას; გამოთქვამს აზრს, ქმნის ილუსტრაციებს; აფასებს როგორც თავის, ისე სხვის მიერ შექმნილს. |
| 9 | სასწავლო მასალა და ტექნიკური რესურსები | ფორმატის ქაღალდები, ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, იაკობ გოგებაშვილის საბავშვო მოთხრობების კრებული, მუსიკალური ცენტრი, ფოტო და ვიდეოკამერა |
| 10 | მიმართულების მიმცემი საკვანძო კითხვები | ზოგადი კითხვა: *რატომ სჭირდება ქვეყანას ენა?* თემატური კითხვა: *როგორ და რატომ აღინიშნება საქართველოში „დედაენის“ დღე?* შინაარსობრივი კითხვა: *სად ვიყავით? როდის და ვინ დაუდგა ძეგლი „დედაენას“?* |
| 11 | პროექტზე მუშაობის ვადები და აქტივობები | I დღე – გამოწვევა და პროექტის თემის გაცნობა;<br>II დღე – როლების განაწილება;<br>III და IV დღე – შესასწავლი მხატვრული ნაწარმოებების მოძიება-განაწილება;<br>V დღე – მუშაობა „დიდი წიგნის“ შექმნაზე;<br>VI და VII დღე – რეპეტიციები;<br>VIII დღე – ა) გასვლა „დედაენის“ ძეგლთან და მხატვრული ღონისძიება; ბ) იაკობ გოგებაშვილის საფლავის მონახულება;<br>IX დღე – შესრულებული სამუშაოს ანალიზი და შეფასება. |
| 12 | შეფასების რუბრიკა | 1. წინარე ცოდნის შემოწმება – „ვიცი, მინდა ვიცოდე“;<br>2. პროექტზე მუშაობა დავალების შესრულებისას (ჩართულობა, თვითშეფასება);<br>3. პროექტზე მუშაობის დასრულების შემდეგ („ვიცი, მინდა ვიცოდე“). |

მთელი ღონისძიება ხალისით წარიმართა. ყველა მოტივირებული იყო, კარგად წარმოეჩინა როგორც საკუთარი თავი, ისე თანამონაწილე. ღრმად ჩასწვდნენ იაკობ გოგებაშვილის ნაწარმოებების არსს; უამრავი კითხვა დაებადათ და ცდილობდნენ, მიეღოთ სხვადასხვა ინფორმაცია; ინტერესით ათვალიერებდნენ მესამეკლასელების მიერ წარმოდგენილ ქართული დამწერლობის ნიმუშებს; გაეცნენ „დედაენის“ შექმნის ისტორიას; ყველა მოლოდინს გადააჭარბა, ე.წ. დიდი წიგნის – „იაკობ გოგებაშვილის მოთხრობების“ ნახვამ, რომელიც საჩუქრად გადასცეს მესამეკლასელებმა პატარებს.

უკან დაბრუნებისას ბავშვები აღფრთოვანებულნი საუბრობდნენ. უსაზღვრო იყო მათი ემოციები. გარდა იმისა, რომ ცოდნა გაიმდიდრეს, რაც შეფასების რუბრიკამაც ნათლად წარმოაჩინა, თბილი დამოკიდებულება იგრძნობოდა ორი კლასის მოსწავლეთა შორის.

აშკარა იყო, მიზანს მივაღწიეთ, მაგრამ შეჩერება არ შეიძლებოდა. შედეგი აუცილებლად გრძელვადიანი უნდა ყოფილიყო. საჭირო იყო ყოველდღიური მონიტორინგი. დახმარება კვლავ მშობლებს და კოლეგებს ვთხოვეთ. წახალისების გარეშე არ დაგვიტოვებია არც ერთი პოზიტიური ქცევა. უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის მნიშვნელოვან ნეგატიურ საქციელს ადგილი აღარც ჰქონია.

ამგვარად, გამოყენებულმა აქტივობამ დაგვანახვა, რომ კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთი ეფექტური გზა თანამშრომლობაა. ამ დროს ორივე მხარე საერთო მიზნისთვის ერთობლივი ძალისხმევით მოქმედებს და მონაწილეთა ინტერესების დაკმაყოფილებას ცდილობს. თანამშრომლობის არსი, ადამიანური და მატერიალური რესურსების ოპტიმალური გამოყენებით, მაქსიმალური შედეგის მიღწევაა.

სასკოლო კონფლიქტის მოგვარებისათვის კი მთავარია, მასწავლებელი კარგად ფლობდეს მართვის მეთოდებს და სწორად მოარგოს სტრატეგია არსებულ სიტუაციას, რათა იოლად შეძლოს მოსწავლეთა ქცევის მართვის რეგულირება.









ნანული ბორაშვილი
*I კლასის ხელმძღვანელი,*
ლუიზა შარიქაძე
*III კლასის ხელმძღვანელი,*
*სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის*
*სოფელ კაკაბეთის*
*საჯარო სკოლის დ/კლასების მასწავლებლები*

**გამოყენებული ლიტერატურა:**

*1. „სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომები“ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. საქ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;*
*2. „როგორ დავგეგმოთ პროექტ-გაკვეთილი“ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი – www.tpdc.ge;*
*3. „ეფექტური კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარების განვითარება დაწყებითი კლასების მოსწავლეებში“ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2017.*

თვალსაზრისი

# მოტივაცია – მოსწავლეთა სწავლის ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორი

პედაგოგიურ პრაქტიკაში ყველა მასწავლებელი აფიქსირებს, რომ მოსწავლეთა მოტივირება ერთ-ერთი პრობლემური საკითხია. უჭირთ მოსწავლეთა ჩართვა სასკოლო აქტივობებში კოგნიტურად, ემოციურად თუ ქცევითი მიმართულებით. თითქმის ყველა პედაგოგს შეუძლია ახსნას, რა არის შინაგანი და გარეგანი მოტივაცია, მაგრამ როდესაც მოტივაციის გამოწვევაზე მიდგება ჯერი, რატომღაც ეს პროცესი აქილევსის ქუსლად გადაიქცევა.

მოტივაცია შინაგანი მდგომარეობაა, რომელიც აღძრავს, წარმართავს და უზრუნველყოფს ქცევას. ფსიქოლოგები, რომლებიც მოტივაციას სწავლობენ, აქცენტს ხუთ ძირითად საკითხზე აკეთებენ:

1. როგორ არჩევანს აკეთებენ ადამიანები საკუთარ ქცევებთან დაკავშირებით (მაგ: რატომაა, რომ ერთი მოსწავლე კომპიუტერთან ერთობა, მეორე კი გულმოდგინედ მეცადინეობს)?

2. რა დრო უნდა გავიდეს, რომ მოტივაცია ამოქმედდეს? რატომ იწყებს ზოგიერთი მოსწავლე დავალების შესრულებას მაშინვე, ზოგი კი დროს ფლანგავს?

3. რა ხარისხით ან ინტენსივობით არიან ჩართული ადამიანები არჩეულ ქცევაში? დავალებას ასრულებს ყურადღებით თუ მექანიკურად.

4. რა აიძულებს ადამიანს იყოს შეუპოვარი ან ადვილად დანებდეს (მაგალითად, მოსწავლე მთლიანად წაიკითხავს „ვეფხისტყაოსანს“ თუ რამდენიმე გვერდს?)

5. რა გრძნობები აქვს და რაზე ფიქრობს ინდივიდი, როცა ქცევას ახორციელებს – სიამოვნებით კითხულობს თუ ნერვიულობს მოსალოდნელ გაკვეთილზე, როცა მასწავლებელს გაკვეთილი უნდა ჩააბაროს?

მოტივირებული ადამიანი თავდაუზოგავად შრომობს მაშინაც კი, როცა სამუშაო მოსაწყენი ეჩვენება. მისი ენერგიის წყარო, ძირითადად, მის მოთხოვნილებებში, შიშში, სტიმულში, მიზანში და ა.შ., ან სულაც სოციალურ ზეწოლაში უნდა ვეძიოთ.

მოტივაციის ზოგიერთი განმარტება ეყრდნობა შინაგან პიროვნულ ფაქტორებს. ზოგისთვის შეიძლება ეს შექება ან ჯილდო იყოს, ზოგისთვის კი შინაგანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ამ მიმართულებით, არსებობს მოტივაციის კლასიკური დაყოფა: შინაგანი და გარეგანი მოტივაცია.

*შინაგანი მოტივაცია* არის ტენდენცია – მიღწეულ იქნეს მიზნები საკუთარი ინტერესების და უნარების კვალდაკვალ. ხოლო *გარეგანი მოტივაციაა*, ის, რაც ნაკლებად უკავშირდება ინტერესის დაკმაყოფილებას და მისი გამოწვევის მიზეზი შეიძლება იყოს: კარგი შეფასება, დასჯის აცილება, მასწავლებლის სიამოვნება და ა.შ. რეალურად, ჩვენ ქცევას იმიტომ კი არ ვახორციელებთ, რომ თავად პროცესი გვაინტერესებს, არამედ გვაინტერესებს რას მოგვიტანს ეს ქცევა.

როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, ერთი შეხედვით, რთულია განვსაზღვროთ, მოტივაცია შინაგანია თუ გარეგანი. არსებითი განსხვავება ამ ორ ტიპს შორის ინდივიდის ქცევის წარმმართველი მიზანია, ანუ მიზეზობრიობის ლოკუსი ინტერნალურია თუ ექსტერნალური – პიროვნების შიგნითაა თუ მის გარეთ.

ბავშვი შეიძლება იმიტომ კითხულობდეს, ცურავდეს ან ხატავდეს, რომ ქცევის თავისუფალი არჩევანი ინტერესების გათვალისწინებით გააკეთა (მიზეზობრიობის ინტერნალური ლოკუსი/შინაგანი მოტივაცია), ან ასე იმიტომ იქცევა, რომ გარედან ვიღაცის ან რაღაცის გავლენას განიცდის (მიზეზობრიობის ექსტერნალური ლოკუსი/გარეგანი მოტივაცია). სწავლებამ შეიძლება შექმნას შინაგანი მოტივაცია, მასწავლებელთა ინტერესების გათვალისწინებით და კომპეტენტურობის მნიშვნელობის ხაზგასმით. თუმცა, ისიც ვიცით, რომ ეს ყოველთვის ვერ იმუშავებს. თუ მასწავლებელს მუდმივად ექნება შინაგანი მოტივაციის იმედი, იმედგაცრუება ელის.

მოტივაცია საკმაოდ ფართო, კომპლექსური საკითხია და მრავალ თეორიას მოიცავს:

- მოტივაციისადმი *ბიჰევიორისტული მიდგომა* – მოსწავლის მოტივაციის გაგება იწყება წამახალისებელი სტიმულებისა და ჯილდოების დაკვირვებული ანალიზით. ჯილდო ის მიმზიდველი ობიექტი ან მოვლენაა, რომელიც შედეგად მოსდევს გარკვეულ ქცევას – ეს ყველაფერი არის მცდელობა მოსწავლეთა მოტივირებისათვის გარეგანი იმპულსის, ჯილდოების ან დასჯის გამოყენებით.
- მოტივაციის *ჰუმანისტური მიდგომა* – ამ მიმართულებით გამოირჩევა ჰუმანისტი ფსიქოლოგიის მომხრე კარლ როჯერსი, რომელიც ამბობდა, რომ ფსიქოლოგიის ვერც ერთი დომინანტური სკოლა ადეკვატურად ვერ ხსნიდა ადამიანის ქცევას.
- მოტივაციის *ჰუმანისტური ინტერპრეტაცია* ხაზს უსვამს ისეთ შინაგან წყაროებს, როგორიცაა პიროვნების „თვითაქტუალიზაციის“ მოთხოვნილება, თანდაყოლილი „აქტუალიზაციის ტენდენცია“ ან „თვითგანსაზღვრის“ მოთხოვნილება.

## აბრაამ მასლოუს თეორია – მოტივაციის ცნობილი ჰუმანისტური ახსნა

მასლოუ ოთხ, შედარებით დაბალი რანგის, მოთხოვნილებას – ფიზიოლოგიურს, უსაფრთხოების, მიკუთვნებულობისა და თვითშეფასების – დეფიციტურს უწოდებს. როდესაც ეს მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულია, მათი რეალიზების მოტივაცია იკლებს. მან სამ ზედა მაღალი რანგის მოთხოვნილებას – ინტელექტუალური მიღწევების, ესთეტიკურ და თვითაქტუალიზაციის – ზრდის მოთხოვნილებები უწოდა. როდესაც ეს მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულია, მოტივაცია არ იკარგება, პირიქით, იზრდება და დაკმაყოფილების მორიგი საშუალების ძებნას იწყებს. დეფიციტური მოთხოვნილებებისგან განსხვავებით, ეს მოთხოვნილებები ბოლომდე არასოდეს კმაყოფილდება. მაგალითად, რაც უფრო წარმატებულია თქვენი მცდელობა, გახდეთ კარგი მასწავლებელი, მით უფრო მეტად გინდათ მიაღწიოთ მეტს. ზოგიერთი ადამიანი შეიძლება უარს ამბობდეს უსაფრთხოებაზე, მეგობრობაზე და განათლებისათვის უფრო მეტი თვითაქტუალიზაციისათვის ზრუნავდეს.

სანამ თითოეული მოსაწავლისათვის და თითოეული კლასისათვის არ შესრულდება სამი საბაზისო პირობა, არც ერთი მამოტივირებელი სტრატეგია არ იქნება წარმატებული.

- ➢ კლასში არ უნდა იყოს ხელისშემშლელი ფაქტორი.
- ➢ მასწავლებელი უნდა იყოს მომთმენი და გულშემატკივარი პიროვნება, რომელიც მოსწავლეებს არ სჯის.
- ➢ დავალება გამომწვევი უნდა იყოს, მაგრამ ადეკვატური.

თუ გვსურს, რომ მოსწავლეებმა საკუთარი თავის რწმენა (თვითრწმენა) არ დაკარგონ, პროგრესისთვის საჭიროა წახალისება.

- მუშაობის დაწყება მოსწავლეთა რეალურად არსებული დონიდან მოზომილი ნაბიჯებით, თუმცა ტემპი უნდა იყოს ცოცხალი და არა სწრაფი. ყველა მოსწავლეს უნდა მიეცეს საშუალება, იმუშაოს საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში.
- დავრწმუნდეთ, რომ სასწავლო მიზანი ცხადი და სპეციფიკური, ახლო მომავალში განხორციელებადია.
- აქცენტი დასვით თვითშედარებაზე და არა სხვებთან შედარებაზე. მიეცით საშუალება მოსწავლეს, დაინახოს საკუთარი პროგრესი. აუხსენით, რას აკეთებს კარგად და რას შეცდომით. ხშირად უთხარით, რომ პროგრესირებს.
- უთხარით მოსწავლეებს, რომ აკადემიური უნარების გაუმჯობესება შესაძლებელია, სპეციფიკურ ამოცანებთან მიმართებით. თუ მოსწავლეს უჭირს ალგებრა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გეომეტრიაც გაუჭირდება, ან უცხო ენას ვერ დაძლევს.
- მიეცით მოსწავლეებს პრობლემის წარმატებით გადაჭრის მაგალითი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რამდენიმე გზის გამონახვა გიწევთ.

შინაგანი მოტივაციის წასაქეზებლად მრავალი სტრატეგია არსებობს, აი, რამდენიმე მათგანი:

- დაუკავშირეთ სასკოლო აქტივობა მოსწავლეთა ინტერესებს (სპორტში, მუსიკაში და ა.შ.), მათ ოჯახურ და პირად ცხოვრებას, პრობლემებს, გატაცებებს.
- გამოიწვიეთ ცნობისმოყვარეობა, მაგალითად, გაითვალისწინეთ და გამოიყენეთ განსხვავება მოსწავლეთა რწმენებსა და ფაქტებს შორის.
- აქციეთ სასწავლო ამოცანა გართობად.
- გამოიყენეთ სიახლეები და დაუკავშირეთ ისინი ნაცნობ შინაარსს. არ არის აუცილებელი, მოტივაციის ასამაღლებლად, რომელიმე სტანდარტულ სტრატეგიას ჩავაცივდეთ.

როდესაც მოსწავლეები სირთულეებს აწყდებიან, მათ უჭირთ ინტენსიურად ყურადღების ფოკუსირება. თუ ყურადღების ფოკუსში მოექცა მღელვარება პრეზენტაციის გამო, წარუმატებლობის შიში, ჭკვიანად თავის გამოჩენის სურვილი, სწავლის მოტივაცია დაიკარგება.

1. მიეცით მოსწავლეებს შესაძლებლობა, ხშირად გამოავლინონ თავიანთი ცოდნა კითხვა-პასუხის, მოკლე დავალებების, უნარ-ჩვევების დემონსტრირების საშუალებით. დროულად შეუსწორეთ შეცდომა, სანამ ეს შეცდომები ჩვევაში გადავა.

2. როდესაც შესაძლებელია, შეაქმნევინეთ მოსწავლეებს დასრულებული პროდუქტი. ამით მოსწავლე დასრულებული საქმის ხილვის მოთხოვნილებას დაიკმაყოფილებს.

3. ნუ გაამახვილებთ ყურადღებას ნიშნებზე, ქულებსა და შეჯიბრებაზე. ქულებზე აქცენტირებისას მოსწავლეები ეგოცენტრულები ხდებიან და ნაკლებად ერთვებიან ამოცანის შესრულებაში.

4. შეამცირეთ რისკფაქტორი, ოღონდ ისე, რომ მეტისმეტად არ გაამარტივოთ ამოცანა.

5. იყავით სწავლისადმი მაღალი მოტივაციის მქონე ადამიანის ნიმუში. მოუყევით მოსწავლეებს თქვენი ინტერესების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, როგორ უმკლავდებით სიძნელეებს.

6. ასწავლეთ გარკვეული სასწავლო ტაქტიკები, რომლებიც მასალის დასაუფლებლად დასჭირდებათ. უჩვენეთ, როგორ ისწავლონ და დაიმახსოვრონ ისე, რომ თავდაცვითი სტრატეგიების გამოყენება მექანიკურად ან ზეპირად მოუხდეთ.

დაბოლოს, არასოდეს უთხრათ მოსწავლეს, რომ კარგად შეასრულა დავალება, მაგრამ უკეთესს ელოდით ან რომ მას რეალურად მეტი შეუძლია. ეს პირდაპირ კლავს მოტივაციას. ასეთ შეთხვევაში, მოსწავლეს ჰგონია, რომ მასწავლებელს აქვს რაღაც ზედა ზღვარი, რომლის დაძლევასაც ვერასოდეს მოახერხებს და, თუ ეს ასეა, მაშინ რატომ უნდა შეასრულოს დავალება.

კაკა გალდავა
*სამტრედიის №15 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი*

**გამოყენებული ლიტერატურა:**
*„სწავლების ფსიქოლოგია“ – ცვატა ბერძენიშვილი, მარიამ გოდუაძე. 2017 წელი.*

ინფორმაცია

# სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ ხელოვნების მიმართულების სტუდენტებმა, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებმა, სასწავლო პროცესში შექმნილი სამკერვალო ნაწარმი, ნაქარგობა, ეროვნული სამოსი შესაბამისი აქსესუარებით, ფეხსაცმლისა და ტყავის, თექის, გობელენის, ბატიკის, ქვილთის, შიბორის, ხის, მინანქრის ნამუშევრები გამოფინეს.

გამოფენაზე, ასევე, წარმოდგენილი იყო პოლიგრაფიული ნაწარმი, სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალობის სტუდენტების მიერ ინოვაციურ ლაბორატორიაში (Fablab) შექმნილი ნამუშევრები. ცალკე სივრცე ჰქონდა დათმობილი სკოლის მოსწავლეებში შრომითი უნარების განვითარების პროგრამის ფარგლებში შექმნილ ნამუშევრებს და პენიტენციურ დაწესებულებაში, ტრენინგკურსის „მემინანქრე“ სწავლების დროს, მსჯავრდებულების მიერ დამზადებულ ხელნაკეთ ნივთებს. სულ გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა მიმართულების 200-მდე ექსპონატი გამოიფინა.

გამოფენის გახსნას ესწრებოდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე **ქეთევან ნატრიაშვილი**. მას მიაჩნია, რომ პროფესიული განათლების პოპულარიზაციისათვის აუცილებელია საზოგადოების ინფორმირება – რა ტიპის პროფესიული სასწავლებლები არსებობს, რა საგანმანათლებლო პროგრამებს სთავაზობენ ისინი მსურველებს და, რა თქმა უნდა, რის გაკეთებას სწავლობენ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები ამ სასწავლებლებში. *„დღევანდელი ღონისძიება სწორედ ამის შესაძლებლობას გვაძლევს – ფოლკლორის ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით, კოლეჯი „მერმისი“ წარმოადგენს სასწავლო პროცესში შექმნილ პროდუქციას, რომელიც ძალიან კარგი მაგალითია იმისა, თუ რა შეიძლება ისწავლოს ადამიანმა ამ პროფესიულ სასწავლებელში. არაჩვეულებრივი, საინტერესო ნამუშევრებია წარმოდგენილი, რომლებიც კარგად წარმოადგენს ჩვენს ქვეყანას, ნაკეთობათა თვალსაზრისით. დარწმუნებული ვარ, ყველა დამთვალიერებელი აღმოაჩენს მისთვის საინტერესო პროგრამას ამ ფორმატში.“*

საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი“ დირექტორი **ნონა ლუდუშაური** აცხადებს, რომ გამოფენაზე წარმოდგენილია, 11 პროფესიული პროგრამის ფარგლებში, ბოლო ერთი წლის მანძილზე, სტუდენტების მიერ შექმნილი ნამუშევრები. *„აქ არის თექის, სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის, გობელენის, მინანქრის და სხვა რამდენიმე სპეციალობის ნამუშევრები. გამოფენა ერთი კვირის მანძილზე გაგრძელდება. ექსპოზიციაში წარმოდგენილი ნიმუშების მიხედვით, თითოეულ მნახველს, პროფესიულ დონეზე, შეუძლია არსებულ პროფესიულ სასწავლებლებში სპეციალობების დაუფლება.“*

პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციის მიზნით, საგამოფენო სივრცეში ასევე მოეწყო ქართულ-ესტონური პროექტის „ესტონეთის საუკეთესო გამოცდილება ქართული პროფესიული განათლების მხარდასაჭერად“ და ევროინტეგრაციის შესახებ საინფორმაციო ბუკლეტების, ჟურნალებისა და წიგნების ექსპოზიცია.

გამოფენა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მხარდაჭერით გაიმართა.



თვალსაზრისი

# პროფესიული ორიენტაცია

ცხოვრებაში ადამიანის კმაყოფილება, კეთილდღეობა და ბედნიერება, უმრავლეს შემთხვევაში, დამოკიდებულია ოჯახსა და სამუშაოზე. სწორედ ეს არის ის ორი ძირითადი სფერო, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ადამიანთა ცხოვრებაში. ისევე, როგორც ოჯახის შექმნა, პროფესიის არჩევაც, გადაწყვეტილების მიღებამდე, ბევრი ფაქტორის გათვალისწინებას საჭიროებს. სამწუხაროდ, პროფესიის არჩევისას ხშირია დაუფიქრებელი და არასწორი ნაბიჯები, რაც, ვფიქრობ, გამოწვეულია, ერთი მხრივ, საზოგადოებაში შესაბამისი ინსტიტუტების არარსებობითა და ინფორმირებულობის ნაკლებობით, მეორე მხრივ, საქართველოს სოციოკულტურული მდგომარეობით.

ჩვენს რეალობას თუ დავაკვირდებით, უამრავ წარუმატებელ უმაღლესდამთავრებულ ადამიანს და სტუდენტსაც შევამჩნევთ (მომავალში წარუმატებელ), რომლებიც, რატომღაც, არ არიან მოტივირებულები, რომ განვითარდნენ პროფესიულად. ეს პრობლემა, რა თქმა უნდა, უამრავი ფაქტორითაა განპირობებული, დაწყებული განათლების სისტემითა და პოლიტიკით, დამთავრებული კულტურული, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობით, მაგრამ კარიერულ და პროფესიულ წარმატებაში არანაკლებ მნიშვნელოვანია პროფესიის სწორად არჩევაც. ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ ბევრ შემთხვევაში, პროფესიას ირჩევენ ოჯახის ან მეგობრების გავლენით, პრესტიჟულობისა და ანაზღაურების გამო, ხშირად ისეთ პროფესიას, რომელზედაც ბუნდოვანი, არასწორი, სტერეოტიპული წარმოდგენა აქვთ, მეტიც, საკუთარი პიროვნული მახასიათებლების, უნარების, ინტერესების გარეშე, რასაც არასახარბიელო შედეგებამდე მივყავართ – ფუჭი დროის ხარჯვა, იმედგაცრუება, უკმაყოფილება, წარუმატებლობა... საბოლოოდ კი, ადამიანი ვერ რეალიზდება.

პროფესიის არჩევისას, აუცილებლად, გასათვალისწინებელია არა მხოლოდ ერთი ფაქტორი, მაგალითად: შრომითი ბაზარი, ანაზღაურება, საკუთარი ინტერესები ან უნარები, არამედ ფაქტორთა მრავალფეროვანი ურთიერთქმედება. გამოყოფენ ძირითად ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავენ პროფესიის არჩევას: 1) ინდივიდის ინტერესები; 2) ფსიქიკური და ფიზიკური უნარ-შესაძლებლობები; 3) პიროვნული მახასიათებლები; 4) ინდივიდის ღირებულებები; 5) პროფესიის შესახებ არსებული ინფორმაცია, პროფესიის პრესტიჟულობა; 6) მშობლების, ოჯახის წევრების, მეგობრების შეხედულებები; 7) სპეციალური ცოდნა და სამუშაო გამოცდილება; 8) შრომითი ბაზრის მოთხოვნები; 9) სამუშაო გარემო და სამუშაოს ადგილმდებარეობა. თუ პროფესიას მხოლოდ ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე ავირჩევთ, ისე, რომ არ გავითვალისწინებთ სხვა ფაქტორს, თუნდაც უნარ-შესაძლებლობებს ან პიროვნულ მახასიათებლებს, შემდგომში, შესაძლოა, ჩვენს არჩეულ პროფესიას, სწორედ ის უნარი ან პიროვნული მახასიათებელი სჭირდებოდეს, რომელიც არ გვაქვს, შესაბამისად, პროფესიასთან დაკავშირებულ ზუსტ და სწორ ინფორმაციას უნდა ვფლობდეთ, თუ როგორი სამუშაო გარემოა, რა უნარებია საჭირო და ა.შ.

ძირეულ ფაქტორებს თუ განვიხილავთ, აღმოვაჩენთ, რომ წარმატებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია მათი ერთობლივი გაანალიზება, ხოლო გაუთვალისწინებლობა, კონკრეტულ სიტუაციაში, საზიანო და სავალალოა.

ინტერესები – ზოგადად, ინტერესი არის სურვილი, მიდრეკილება, მოტივაცია გარკვეული საგნის ან მოვლენის მიმართ, ხოლო პროფესიული ინტერესი გულისხმობს ადამიანის მიზიდულობას გარკვეული საქმიანობის, მისი შინაარსისა და ხასიათის მიმართ. ასეთ შემთხვევაში, ინდივიდი უკეთ ახერხებს კარიერულ განვითარებას, აღწევს წარმატებას და, საბოლოო ჯამში, საკუთარი სამუშაოთი კმაყოფილია. ადამიანს ინტერესთა ფართო სპექტრი აქვს, რომელიც სხვადასხვა სამუშაოს უკავშირდება, მაგრამ არსებობს სპეციფიკური ინტერესები, რომელიც უშუალოდ ერთ სამუშაო გარემოსთანაა დაკავშირებული. ზოგჯერ, ახალგაზრდას ინტერესი უჩნდება სწორედ იმ საქმის მიმართ, რომლის შესრულებაც ეხერხება, ასევე მისთვის მოსაწონი ადამიანის პროფესიის მიმართ (იდენტიფიკაცია) ან არასწორი წარმოდგენით პროფესიაზე და ა.შ. ამიტომ ინტერესების არსებობა, რაიმე სამუშაოს მიმართ, არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანი ფლობს კონკრეტული სამუშაოს შესრულების უნარ-ჩვევებს.

გამომდინარე აქედან, ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია უნარ-შესაძლებლობები. ამ შემთხვევაში, ხშირად რთულია გამოყო საკუთარი სპეციფიკური უნარი ან კიდევ შეაფასო ზოგადი, ყველა ტიპის სამუშაოსთვის საჭირო უნარი. საკუთარი უნარ-ჩვევების გაანალიზება და მათი შესაბამისი პროფესიის არჩევა, ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა კარიერული წარმატებისთვის. ყოველ პროფესიას გარკვეული ტიპის ფიზიკურ-გონებრივი უნარი სჭირდება, ზოგ შემთხვევაში, უნარ-შესაძლებლობა შეძენადი ან განვითარებადია, მაგალითად, პუნქტუალობა, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უნარი და ა.შ., მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც უნარები ვერ განვითარდება და მათი შეძენა შეუძლებელია, რადგან, ერთი მხრივ, შეიძლება საჭიროებდეს შინაგანი მოცემულობის არსებობას, რათა მისი განვითარება იყოს შესაძლებელი, ხოლო, მეორე მხრივ, ეწინააღმდეგებოდეს ინდივიდის პიროვნულ მახასიათებელს. მაგალითად, გარკვეული სამუშაო ითხოვს ადამიანთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარებასა და სოციალურ აქტიურობას, რომელსაც ინტროვერტი (ძალიან ზედაპირული გაგებით ჩაკეტილი და სოციალურად პასიური პიროვნული ტიპი) ვერ მოახერხებს.

შესაბამისად, პროფესიის არჩევაში კიდევ ერთი გასათვალისწინებელი ფაქტორია – პიროვნული მახასიათებლები. პიროვნებაში იგულისხმება ინდივიდი, რომელშიც გაერთიანებულია პიროვნებისთვის დამახასიათებელი მრავალი ასპექტი: აზრები, სპეციფიკური ქცევა, ემოცია, გრძნობა, განწყობა და ა.შ., შესაბამისად, პროფესიაც გარკვეული ტიპის პიროვნებას „მოითხოვს“ სამუშაოს შესრულებისთვის. მაგალითად: პიროვნული ტიპი – ექსტრავერტი ან ინტროვერტი, თავის თავში, გარკვეული ქცევების, უნარებისა და მიდრეკილებების ერთობლიობას მოიაზრებს, რაც ბიოლოგიურადაა განპირობებული და ნაკლებად ექვემდებარება გარემოს ზეგავლენასა და ცვლილებას. შესაბამისად, პროფესია, რომელსაც სჭირდება ექსტრავერტის მახასიათებლები, წარუმატებელი იქნება ინტროვერტისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ პიროვნება, მეტ-ნაკლებად, მდგრადია ცვლილებების მიმართ, არ უნდა გვქონდეს მოლოდინი, რომ პიროვნულად შევიცვლებით, თუ პროფესია ამას „მოითხოვს“.

ასევე, ძალზე მნიშვნელოვანია ინდივიდის ღირებულებები. პროფესიული კონსულტაციებისას ღირებულებების დადგენას დიდ დროს უთმობენ, ცდილობენ გაარკვიონ, ადამიანის დამოკიდებულება ქცევის სტანდარტებთან დაკავშირებით, რა მიაჩნია სწორად, რა – არასწორად და ა.შ. აუცილებელია, რომ პროფესიის ღირებულებები შეესაბამებოდეს პიროვნების ღირებულებებს. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ეს ფაქტორია შრომით კმაყოფილების, მოტივაციის ზრდის და კარიერული განვითარების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა. კლასიკური მაგალითი: თუ პიროვნება, ღირებულებებიდან გამომდინარე, შემწყნარებელია, არ შეუძლია ადამიანის დადანაშაულება ან ბრალის დადება, შესაბამისად, გაუჭირდება პროკურატურაში მუშაობა, რადგან პროკურატურას სხვა შრომითი ღირებულება აქვს. გამომდინარე აქედან, პროფესიის ღირებულებები აუცილებლად გასათვალისწინებელია.

არსებობს ირიბი გავლენაც – ჩვენ გარკვეულ გარემოში ვიზრდებით, ჩვენში ითრგუნება, ვითარდება და ყალიბდება დამოკიდებულება პროფესიების მიმართ, ჩვენი ინტერესები, ღირებულებები, უნარები თუ სხვადასხვა დასწავლადი პიროვნული მახასიათებლები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ გვაქვს თანდაყოლილი და უცვლელი შინაგანი მოცემულობა, რომელიც ასევე გასათვალისწინებელია პროფესიის არჩევისას.

ამრიგად, პროფესია, რომელიც მაღალანაზღაურებადია, პრესტიჟულად ითვლება საზოგადოებაში, რომელიც ჩვენს მეგობრებსა და ოჯახის წევრებს მიაჩნიათ ჩვენთვის შესაფერისად ან რომელიც თავად გვინდა, რადგან მოგვწონს, ან პროფესია, რომელიც თუნდაც ზოდიაქოთი შეგვესაბამება, თავისთავად არ გულისხმობს იმას, რომ ჩვენს საქმეში წარმატებული ვიქნებით. პროფესიის არჩევისას, პირველ რიგში, საკუთარი თავი უნდა შეიცნო, რაც სხვადასხვა სახის კითხვარითა თუ ტესტითაა შესაძლებელი, უნდა გაეცნო სხვადასხვა პროფესიებს და გაიგო ზუსტი და სწორი ინფორმაცია მათ ირგვლივ, გაითვალისწინო საკუთარი რესურსები, შეაფასო დასახული მიზანი და მოტივი, თუ რატომ გსურს ესა თუ ის პროფესია – იმიტომ, რომ შეგეფერება თუ იმიტომ, რომ ის ჩვენს საზოგადოებაშია მოსაწონი. აუცილებელია შეძენილი თუ თანდაყოლილი მახასიათებლების შესაბამისი პროფესიის არჩევა. ერთი სიტყვით, ადამიანმა დამოუკიდებლად და ბევრი ფიქრის შემდეგ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ისეთ საქმეში, როგორიც პროფესიის არჩევაა.

**ნუკრი ბერიძე**
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი*

სპორტი

## მოსწავლეთა ჩემპიონატი

გამოვლინდნენ საქართველოს ჩემპიონ-პრიზიორები თავისუფალ ჭიდაობაში მოსწავლეთა შორის. ახლა მწვრთნელებმა, მოსამზადებელ პერიოდში, ამათგან უნდა აარჩიონ ისინი, ვინც 15-17 ივნისს, უნგრულ დიორში მოსწავლეთა ევროპის ჩემპიონატში იჭიდავებენ.

საქართველოს ჩემპიონატი გურჯაანში ჩატარდა – საკმაოდ ორგანიზებულადაც და მაღალ დონეზე. ფინალურ ტურნირს წინ უსწრებდა შესარჩევი შეჯიბრებები რეგიონებში. მოსწავლეთა ევროპის ჩემპიონატი ახალი ტურნირია, რომელსაც სულ რაღაც 2-3 წლის ისტორია აქვს, თუმცა მსოფლიოს ფედერაცია მისი პოპულარიზაციისთვის ყველაფერს აკეთებს, რათა მოზარდებს დიდ ასპარეზზე თავის გამოჩენის კიდევ ერთი შანსი მიეცეთ.

გურჯაანში საქართველოს ჩემპიონები გახდნენ: **დავით ქობულაშვილი** (38 კგ) თბილისიდან, **ლუკა გუგეშაშვილი** (41) და **თორნიკე სამხარაძე** (62) ონიდან, **გიორგი გოგრიჭიანი** (44) და **ბეჟან ბარსონიძე** (48) ამბროლაურიდან, **გიგი ქურხული** (52) და **დავით კუჭუაშვილი** (68) საგარეჯოდან, **გიორგი ნაჭყებია** (57) ზუგდიდიდან, **ნიკა ფესტვენიძე** (75) ქუთაისიდან და **ლევან ბაზაძე** (85) საჩხერედან.

თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ქვეყნის ჩემპიონობით მათ გაინაღდეს ივნისში უნგრეთში გამოსვლა – ისინი მხოლოდ მთავარ კანდიდატებად იქცნენ – ჯერ კიდევ გასავლელია შესარჩევი ტიპის გარკვეული ეტაპები, სადაც მათ ისევ დააკვირდებიან, გამოცდიან უცხოურ შეჯიბრებებში და საბოლოო გადაწყვეტილებასაც ამის შემდეგ მიიღებენ. საიდუმლო არაა, რომ ამ კონტინგენტს აკლია უცხოურ შეჯიბრებებში გამოსვლის გამოცდილება. ეს არაა ჭაბუკთა ასაკი, სადაც ეს პრობლემა მეტ-ნაკლებად მოხსნილია. ისინი ახლა იწყებენ დიდ სპორტში ჩაბმას და მწვრთნელებსაც ამიტომ მართებთ მეტი სიფრთხილე.

## ქუთაისში კრივი გაჩაღდა

ქუთაისის აკაკი კაკაურიძის სახელობის მე-18 საკრივო სკოლაში ჩატარდა ქალაქის ასაკობრივი პირველობები სამ ასაკობრივ ჯგუფში: 2002-2003, 2004-2005 და 2006-2007 წლებში დაბადებულთა შორის. საერთო ჯამში, მასში 50-მდე სპორტსმენი გამოვიდა, გამარჯვებულთაგან კი დაკომპლექტდა ქუთაისის ნაკრებები, რომლებიც ქვეყნის სათანადო ასაკობრივ ჩემპიონატებში მიიღებენ მონაწილეობას. შეჯიბრებას დაესწრო სახელოვანი ქუთაისელი მოკრივე, ქუთაისის ააიპ სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების მმართველი, ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორი **კობა ფხაკაძე**.

2002-2003-წლიანთა შორის ჩემპიონები გახდნენ და ქალაქის ნაკრებში გამოსვლის უფლება მოიპოვეს **ნოდარ ქადარიამ** (48), **ნიკა გაბრიჩიძემ** (50), **ნიკა გაბუნიამ** (70), **რომეო ხურციძემ** (80) და **თენგო მოდებაძემ** (+80).

2004-2005-იანებში ანალოგიური წარმატებით გამოვიდნენ **ლუკა ბოჭორიშვილი** (40), **დავით მიქაუტაძე** (44.5) და **გიორგი დათუაშვილი** (48), ხოლო 2006-2007-იანებში – **თენგიზ გუჯაბიძე** (34), **ბექა ქარქაშაძე** (42) და **გიორგი სირაძე** (48).

## თაობათა ცვლა

ბოლო უქმეებზე გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ სტილში მოჭიდავე ჭაბუკთა შორის, რომელსაც ოზურგეთის სპორტულმა დარბაზმა უმასპინძლა. ჩემპიონატის იქ გამართვა საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ნოვატორული მიდგომის შედეგია – ფედერაციის ახალმა ხელმძღვანელობამ მოსვლისთანავე აქცენტი რეგიონებში ჭიდაობის აღორძინებაზე აიღო, საამისოდ კი იქ მნიშვნელოვანი შეჯიბრებების ჩატარება ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს მიდგომა სრულად ამართლებს – სადაც კი ჩატარდა, აჟიოტაჟიც დიდი იყო და ორგანიზებაც – სავსებით მისაღები. ოზურგეთულმა ტურნირმაც მაღალ დონეზე ჩაიარა.

ეს ნაკრები წლეულს მნიშვნელოვან გზაგასაყარზეა: თაობათა ცვლა სერიოზულად შეეხო და წლეულს მწვრთნელებს სულ ახალი გუნდის შენება უწევთ. შარშანდელი შემადგენლობის ლიდერებიდან 8 კაცი ახალგაზრდებში გადავიდა, გუნდში მხოლოდ ბორჯომელი **დიმიტრი ხაჩიძე** (48) და გარდაბნელი **გიორგი ცოფურაშვილი** (80) დარჩნენ. საინტერესოა, რომ ამჯერად ორივემ გაიმარჯვა და თავიანთ წონებში შეინარჩუნეს ლიდერის სტატუსი.

საქართველოს წლევანდელმა ჩემპიონებმა ამ გამარჯვებით გაინაღდეს თანატოლთა ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლა, რომელიც აპრილის ბოლოს კიევში ტარდება. ჭაბუკთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ხვიჩა ქორიძე** სწორედ ასე აკომპლექტებს გუნდს: საქართველოს ჩემპიონებს ამზადებს ევროპის ჩემპიონატისთვის, ყოველგვარი როტაციის და საერთაშორისო შეჯიბრებებზე დაკვირვების გარეშე. უცხოურ ტურნირებს ჩემპიონთა მოსამზადებლად იყენებს და ასე იქნება წლეულსაც, როცა ჭაბუკები ირანსა და თურქეთში იასპარეზებენ. ბუნებრივია, ვინმე თუ ვერ აჰყვება ნაკრების მზადების ტემპს და მოუკლებს, მას ჩაანაცვლებს, მაგრამ მისი მიდგომა ასეთია: არ შეცვალოს ქვეყნის ჩემპიონები, რაც ფსიქოლოგიური ფაქტორითაა გამოწვეული – ჩამოაშოროს მათ ის დაძაბულობა, რაც მწვავე კონკურენციას თან ახლავს ხოლმე. სიმართლე გითხრათ, ცოტა საკამათო მოსაზრებაა, რადგან კონკურენცია განაპირობებს კარგ შედეგებს, თუმცა შარშან ქორიძეს ზემოხსენებული მიდგომის პირობებშიც კარგი მიღწევები ჰქონდა: ევროპის ჩემპიონატზე მისმა გუნდმა ფურორი მოახდინა და 10-დან 6-მა შეგირდმა მედალი მოიპოვა – 2 ოქრო, 1 ვერცხლი და 3 ბრინჯაო. მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც ბევრად უფრო ძლიერი შეჯიბრებაა, მთლად ასე ბრწყინვალედ ვერა, მაგრამ არც ურიგოდ გამოსულან, 5 ბრინჯაო მოიპოვეს, ანუ შემადგენლობის ნახევარმა შედეგი აჩვენა!

დასასრულს გეტყვით, რომ ხაჩიძის და ცოფურაშვილის გარდა, ოზურგეთში ჩემპიონები აჭარიდან **თორნიკე სოლომონიძე** (45), **დიეგო ჩხიკვაძე** (55), **ხვიჩა ანანიძე** (65) და **დავით ჩხაიძე** (71) გახდნენ, სენაკიდან – **გიორგი ჩხიკვაძე** (60), ქუთაისიდან – **მათე გოქაძე** (110), მასპინძელთაგან კი **გიორგი თოხაძემ** (51) და **ცოტნე ცინცაძემ** (92) გაიმარჯვეს.

## ძალოსანთა ასპარეზობა

თბილისში, ძალოსანთა ოლიმპიური მზადების ცენტრში, 3 დღის განმავლობაში, მიმდინარეობდა ძალოსანთა თბილისის ღია პირველობა, რომელშიც დამოუკიდებელი საქართველოსთვის სარეკორდო რაოდენობამ – 130-მა შტანგისტმა მიიღო მონაწილეობა. შეჯიბრება საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა, თავი კი დიდად გამოიჩინეს რეგიონებმა, რაც ძალოსნობის გეოგრაფიის გაფართოების შედეგია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე მათგანი აღნიშნული ოლიმპიური მზადების ცენტრში ვარჯიშობს, რაც უკვე ფედერაციას ეთვლება აქტივში – შეძლო და ნიჭიერი მოზარდებისთვის შექმნა ასეთი ტიპის სავარჯიშო-სასწავლო ცენტრი, სადაც ნაყოფიერად ვარჯიშობენ და სწრაფად იმაღლებენ ოსტატობას. წონების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ ხაშურელები: **გიგა ოდიკაძე** (ო.მ.ც; 38 კილოგრამი წონითი კატეგორია, 90 კგ ორჭიდში), **გიორგი ხარაზიშვილი** (ო.მ.ც; 50, 148), **თორნიკე ტაბატაძე** (+94; 295), ქუთაისელები – **გიორგი ახალაძე** (62, 172), **გურამ გიორბელიძე** (69, 249), **ზაზა ლომთაძე** (94, 287), ქობულეთელები – **იმედა შავაძე** (46, 122), **ბაჩუკი შამილიშვილი** (56, 177), თბილისელი **არჩილ ოქროპირიძე** (42, 97), ხელვაჩაურელი **ლომია თებიძე** (77, 276) და წყალტუბოელი **ლუკა ქაშიბაძე** (ო.მ.ც; 85, 212).

**რუბრიკას უძღვება ირაკლი თავაძე**

# მასწავლებლის ბიბლიოთეკა




11 ლარი

**სასწავლო პროექტები**
წიგნში მოცემული ნიმუშები დაეხმარება მასწავლებელს, გაეცნოს სხვადასხვა საგნებში შექმნილ სასწავლო პროექტებს. ახსნილია პროექტის სტრუქტურა და გაწერილია რეკომენდაციები, როგორ უნდა შეიქმნას თითოეული სტრუქტურული ერთეული. მასალის გამოყენებით, მას შეუძლია დაგეგმოს სასწავლო პროექტი ამა თუ იმ საგანში.




**ქართული I-VI კლასები**
წიგნი შექმნილია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად და დაეხმარება I-VI კლასების მასწავლებლებს, წარმატებით ჩაატარონ საგნობრივი გამოცდა.

11 ლარი




**პროფესიული უნარები**
დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველა საგნის მასწავლებლისთვის

15 ლარი

**მასწავლებლის სამუშაო რვეული**




4 ლარი

**ინტერაქტიური მეთოდების კრებული**




6 ლარი

**კათედრის გეგმის პორტფოლიო**




6 ლარი

**მასწავლებლის კალენდარი**




5.50 ლარი

**ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის**




14 ლარი

**ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში**




6.50 ლარი

# მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე
fb.com/bakursulakauripublishing
ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.




თითო კრებულის ფასი – 10.90 ლ

# ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.




სერიის ფასი – 32.40ლ

# ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.




სერიის ფასი 17.70 ლ

# „ინტელექტი“ და „არტანუჯი“ გთავაზობთ

## გავიმეოროთ მათემატიკა




წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. იგი ძირითად სახელმძღვანელოებში მოცემულ მასალაზეა აგებული, თუმცა შევსებულია ამოცანებით. მასალა დალაგებულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ანალიზის, ალბათობისა და სტატისტიკის საკითხები.

19 ლარი
(ერთი ცალი)

## ეროვნული გამოცდების სიმულაცია




15 ლარი

გიორგი მეჭურჭლიშვილი, არჩილ თაბუკაშვილი, კონსტანტინე ბარამია

ეროვნული გამოცდების სრული სტანდარტის დაცვით შედგენილი ტესტები აბიტურიენტს საშუალებას აძლევს, გამოცდაზე გასვლამდე, გაიაროს ეროვნული გამოცდების სიმულაცია, ანუ შეძლოს ზუსტად იმ ტიპისა და სირთულის დავალებების შესრულება, როგორიც ეროვნულ გამოცდებზეა.
სახელმძღვანელოში განთავსებულია ავტორთა ჯგუფის მიერ შედგენილი უნიკალური რუკები, კონკრეტული ისტორიული ეპოქის გასააზრებლად.



**თამაზ ვასაძე**
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

12 ლარი



**თამაზ ვასაძე**
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის

4 ლარი



**თამარ ბეროზაშვილი**
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)

10 ლარი




10 ლარი

**ფიზიკა**
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია




6 ლარი

**ბიოლოგია**
ეროვნული გამოცდისთვის
ლ. ბურდილაძე, ნ. სიხარულიძე, ქ. მაღრაძე, დ. ნაზირიშვილი




9 ლარი

**ისტორია**
ეროვნული გამოცდისთვის
ნ. ახმეტელი, ბ. ლორთქიფანიძე, ნ. მურღულია

# ტესტები ქართულ ლიტერატურაში

## საატესტატო და ეროვნული გამოცდებისათვის




წიგნი I
V-XVIII საუკუნეების მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი III
XX საუკუნის მწერლობა

*თითო ტომის ფასი 13 ლარი*

## ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“,
ბ/კ LBRTGE22
შექენის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73,
032 295 80 23

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 1 ლარი 90 თეთრი

CMYK